# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 ივლისი 2007 №158 (3081) ფასი 50 თეთრი


## ასე სურს ლუის ვან გაალს...




## რონალდინიომ მილანთან კონტრაქტი გააფორმა?!

### ამ ხელმოწერაში იტალიელები 125 მილიონ ევროს იხდიან!



# შოთა არველაძე ინტერით წავა?

რომელი იქნება შოთა არველაძის ახალი კლუბი, ჯერაც უცნობია. ფაქტი ისაა, რომ „სარბიელისა“ და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამოკითხვებით საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ჰოლანდიურ „ალკმაარს“ დატოვებს.

მაგრამ როდის?

როგორც ჰოლანდიური პრესიდან შევიტყვეთ, ალკმაარელთა თავკაც ლუის ვან გაალს უთქვამს, ძალიან მინდა, არველაძემ 11 აგვისტოს მილანის „ინტერთან“ ამხანაგურ მატჩში ითამაშოს და ისე წავიდესო.

ეს შეხვედრა AZ-ის სტადიონზე გაიმართება და, შესაძლოა, შოთას „ალკმაარიდან“ გაცილებაც სწორედ მაშინ მოხდეს.

# თეთრი ანგელოზი

## 7 წლის წინ: ბერნდ შუსტერი სტუმრად სარბიელთან

### მადრიდის „რეალის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა თავის დროზე ჟურნალ „სარბიელს“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა




AFP

2007 წლის ივლისი: ბერნდ შუსტერი მადრიდში



2000 წლის აპრილი: ბერნდ შუსტერი თბილისში

# ბრიუგე არა, მაგრამ ბელგია ნაღდიაო
## ნიკა გელაშვილი: ვარეგემი ან ბეერსხოტი



**ნიკა გელაშვილი** „ბრიუგეში" ვერ ჩაირიცხა — ამის შესახებ კლუბის ვებგვერდი წერს, ქართველმა თავის შესაძლებლობებში ვერ დაგვაჯერა და შინ მიემგზავრებაო.

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი მეგოლე დაახლოებით ორი კვირის წინ ჩავიდა ბრიუგეში და თავიდან ორ ტესტ-მატჩშიც ითამაშა, მომდევნო ორ შეხვედრაში კი აღარ დააყენეს. არადა, „ლურჯმა არმიამ" („ბრიუგეს" მეტსახელია) ჩვენიანი დიდი იმედებით იახლა გასინჯვაზე, თანაც, გუნდიდან ორი თავდამსხმელი წავიდა და ნიკას მათ შემცვლელად მიიჩნევდნენ.

როგორც „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელებმა გვითხრეს, გელაშვილი მაინც ბელგიაში დარჩება და ერთ-ერთ იქაურ კლუბში გააგრძელებს კარიერას — სავარაუდოდ „ბეერსხოტში", სადაც ნიკა გაზაფხულზეც იყო გასინჯვაზე.

„ბრიუგეს" ვარჯიშებსა და საკონტროლო მატჩებს სხვა გუნდის სკაუტებიც ესწრებოდნენ. ერთ-ერთი ბელგიური წყაროს ცნობით კი, ჩვენიანით „ვარეგემი" დაინტერესებულა.

**ილია ნანობაშვილი**

# უეფამ ფოლადი ნახა და გამოაგზავნის

**გუშინ** საქართველოში უეფას სტადიონებისა და უსაფრთხოების განყოფილების ერთ-ერთი ჩინოსანი ტიერი სავრი ჩამოვიდა, რომელსაც რუსთავის „ფოლადისა" და „მიხეილ მესხის" სტადიონები უნდა შეემოწმებინა.



მოგეხსენებათ, ეს ორი სტადიონი ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპების მატჩებს უმასპინძლებს.

„მიხეილ მესხს" ბევრი საევროტურნირო მატჩისთვის უმასპინძლია და ამიტომ სავრი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის ინფორმაციას დასჯერდა და ვაკის სარბიელი არ შეუმოწმებია. სამაგიეროდ, სავრი რუსთავს ეწვია. მას თან სალიცენზიო კომიტეტიდან ბაქარ ჟორდანია და დავით პეტრიაშვილი ახლდნენ.

როგორც ბაქარ ჟორდანიამ გვითხრა, სავრი ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებს და დასკვნას ორ-სამ დღეში გამოაგზავნის. მისივე თქმით, სავრი რუსთავში სტადიონის უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო, რადგან ყველა ის სამუშაო, რაც მითითებული იყო, გეგმაზომიერად ჩატარდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბელხატუვის მეორე მარცხი

**გერმანულ** შეკრებაზე მყოფმა პოლონურმა „გკს ბელხატუვმა" მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და თელ ავივის „მაკაბისთან" 0:2 წააგო. ებრაელებმა გოლები 25-ე და 33-ე წუთებზე გაიტანეს.

„ამერის" საუეფასთასო მეტოქე მანამდე ბულგარულ „ლიტექსს" ორჯერ გაეჯიბრა — 0:0, 0:1.

„მაკაბისთან" პოლონელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *კოზიკი (საპელა 46), კეკოტი (კოვალჩუკი 60), გროძიცკი, მაგდონი (პიეტრაშიაკი 60), კომოროვსკი (სტოლარჩუკი 60), რაჩვალი (ვრობელი 60), ტომიკი (სტრაკი 60), პოზნიაკი (იარყებოვსკი 60), ზავოძინსკი (პოპეკი 60), კოსტლი.*

მომდევნო მატჩს „გკს" „სტიაუასთან" გამართავს.

**კახა შალამბერიძე**

# ოლიმპს პოლონელები განსჯიან

**17 ივლისს** რუსთავის „ოლიმპი" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახურ „ასტანას" უმასპინძლებს და უეფამ ამ მატჩის მსაჯები უკვე დანიშნა — შეხვედრას პოლონელები მოემსახურებიან — არბიტრი მარჩინ ბორსკი, ასისტენტები რაფალ როსტკოვსკი და დარიუშ ვარდაკი, მეოთხე მსაჯი გრჟეგორჟ გილევსკი.

**კახა შალამბერიძე**

# იუბილარი კობიაშვილი და დებიუტანტი იაშვილი



**მორიგი** საკონტროლო მატჩი გამართა ლევან კობიაშვილის „შალკემ". „ხუმარები" დანიურ „კოპენჰაგენს" გაეჯიბრნენ და 2:2 ითამაშეს. კობიაშვილი მთელი სრულად გაისარჯა და მირკო სლომკამ საყრდენ ნახევარმცველად ათამაშა.

„შალკე" ორჯერ აგებდა, მაგრამ მაინც მოახერხა გათანაბრება.

პირველი გოლი კი კობის აქტიურობას მოჰყვა — იუბილარმა (თამაშის დღეს 30 წელი შეუსრულდა) მარცხენა ფლანგზე კარგად ითამაშა, ცრუმოძრაობით უსაქმოდ დატოვა მცველები და კევინ კურანის საგოლედ უპასა.

საგოლე პასით გამოირჩა სანდრო იაშვილიც. შვეიცარიული „თუნის" ახალწვეული გერმანულ „პფულენდორფთან" ამხანაგურ მატჩში შეცვლაზე გამოჩნდა, მისმა გუნდმა კი 3:1 მოიგო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ანატოლი ბიშოვეცის ოცნება: ნეტავ ორი ასათიანი მყავდეს!



**ავსტრიულ** შეკრებას აგრძელებენ მოსკოვის „ლოკომოტივი" და მალხაზ ასათიანი. რკინიგზელებმა კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართეს, ამჯერად ავსტრიულ „ბიშოფსხოფენთან" და 7:1 იმარჯვეს.

ასათიანი სრულად გაისარჯა, თუმც მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა, წინა ამხანაგურისგან განსხვავებით, ისევ დაცვაში დააბრუნა.

„ლოკომოტივიდან" დმიტრი ლოსკოვის წასვლის შემდეგ გუნდს გამთამაშებელი არ ჰყავს და ბიშოვეცმა რუმინულ „კლუჟთან" ასათიანი მის ძველ და საყვარელ პოზიციაზე ათამაშა, მაგრამ დაცვამ შეცდომები ბავშვური დაუშვა და ოთხი ბურთი გაუშვა — ბიშოვეცმაც დაცვაში პრობლემების დასაძლევად ჩვენებური ისევ უკან დაწია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველებს ლიტვა-ბელარუსში გააქვთ
## შაშიაშვილის ერთქულიანი დებიუტი

**მართალია,** არაგადასარევი დონის ჩემპიონატებში, მაგრამ გუშინ ქართული გოლები გავიდა და ორიოდ სიტყვით ვთქვათ: გივი კვარაცხელიამ და ნუკრი მანჩხავამ სრულად ითამაშეს „ინტერასთან", ქართველების „კაუნასმა" კი შინ 6:1 მიანგრია მეტოქე — პირველი გოლი კვარაცხელიამ გაიტანა, „კაუნასი" კი ლიტვის ჩემპიონატს ლიდერობს და, სავარაუდოდ, წლეულსაც იჩემპიონებს.

ბელარუსში ბრესტის დინამოელმა რომან გოგინაშვილმა გაიტანა. ამ გუნდში რუსთავის „ოლიმპის" ყოფილი შემტევი გია თოდუაც თამაშობს — ბრესტელებმა სტუმრად 2:3 დათმეს სოლიგორსკის „შახტიორთან" და მეთერთმეტე საფეხურზე არიან.

ავსტრიული დებიუტი ჰქონდა გიორგი შაშიაშვილს. „შტურმმა" შინ 2:2 ითამაშა „აუსტრიასთან". შაშიაშვილმა სრულად ითამაშა.

# ბლექბერნისკენ ვეტრამ დაუბერა




**ზურაბ ხიზანიშვილი** და მისი „ბლექბერნი" ინგლისური გუნდებიდან ყველაზე ადრე ჩაებმებიან ევროტურნირში. ინტერტოტოს თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვარდები" ლიტვურ „ვეტრას" შეხვდებიან.

„ბლექბერნმა" უკვე დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის და პირველი ტესტ-მატჩიც გამართა. ხიზანიშვილის გუნდმა 2:1 მოუგო „რექსემს".

ჩვენებურმა მეორე ტაიმი ითამაშა — მან ჰოლანდიელი ანდრე ოიერი შეცვალა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ბლექბერნის" მეტოქე უეფამ გადაწყვიტა, რადგან „ვეტრასა" და პოლონურ „ლეგიას" შორის გამართული საპასუხო მატჩი პირველი ტაიმის შემდეგ შეწყდა, როდესაც „ვეტრა" 2:0 იგებდა. მიზეზი კი პოლონური კლუბის გულშემატკივართა უსაქციელობაა, რის შედეგადაც 26 კაცი დააპატიმრა.

უეფამ ლიტველებს მოგება ჩაუთვალა, ხოლო „ლეგია" გათამაშებიდან მოხსნა და ევროტურნირებზე ერთწლიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯა. ეს სასჯელი ვარშაველებზე ხუთი წლის განმავლობაში იმოქმედებს, ანუ ამ ხუთი წლის განმავლობაში ისინი თავიანთ ჩემპიონატში საევროთასო ადგილს თუ დაიკავებენ, იქ მაინც ვერ ითამაშებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ავსტრია

**ბუნდესლიგა. I ტური**

რაპიდი 3:1 ტიროლი
რიდი 1:2 მატერსბურგი
შტურმი 2:2 აუსტრია
ზალცბურგი 4:1 ალტახი

## შვედეთი

**ალსვენსკა. XIII ტური**

კალმარი 2:0 ჰამარბი

## უნგრეთი

**სუპერთასი. ფინალი**

ჰონვედი 1:1 დებრეცენი

## აზიის თასი 2007

**C ჯგუფი**
**I ტური**

ირანი 2:1 უზბეკეთი

**D ჯგუფი**
**I ტური**

სამხ. კორეა 1:1 საუდეთი

## ამხანაგური მატჩები

კოტბუსი 1:0 უნიონი
ლიუნგბიუ 0:4 ოდენსე
ლევსკი 4:0 უნივერსიტატია
დენდერი 2:1 ვალვაიკი
ლევერკუზენი 1:1 გრასჰოპერი
მეცი 1:2 კობლენცი
ჰამბურგი 1:0 გროცლინი
შაფჰაუზენი 0:4 ბაიერნი
თუნი 3:1 პფულენდორფი
ალემანია 1:3 კიოლნი
ბრონდბიუ 2:1 ოსერი
ზვოლე 1:1 ფოლკირკი
ლიბურნი 1:0 ბორდო
ლორიანი 0:1 ბრესტი
ნაიმეგენი 1:1 ვენლო
სოშო 0:0 გრენობლი
ვიბორგი 1:2 სილკებორგი
მარსელი 2:2 მონპელიე
ბაზელი 1:2 ლანსი
სერვეტი 2:2 კაენი

# ჯაბა დვალი: დინამოს გული ვერაფრით მოვიგე



ვარლამ კილასონია და ჯაბა დვალი

რუსთავის „ოლიმპი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახურ „ასტანას“ 17 ივლისს შეხვდება. რუსთაველებმა შეკრება ურეკში გაიარეს, ახლა კი თბილისში არიან.
გუშინ „ოლიმპის“ ახალწვეულს, შარშანწინდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ ჯაბა დვალს ვესაუბრეთ...

— „ოლიმპთან“ სამწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმე. რა სიტუაცია დაგხვდა ახალ კლუბში?

— ყველამ ძალიან თბილად მიმიღო. მეგობრული გუნდია და საერთოდაც, კარგი სიტუაციაა.

— სანამ „ოლიმპში“ მიხვიდოდი, საჩხერის „ჩიხურაში“ იყავი. იქ გატარებულ პერიოდზე რას იტყვი?

— აუტსაიდერ გუნდში მანამდე არ მეთამაშა და „ჩიხურაში“ ყოფნა ამით თუ იყო საინტერესო. საჩხერელთა მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გახლდათ და მოვახერხეთ კიდეც, ამაში კი ჩემი წვლილიც შევიტანე. მთლიანობაში, იქ გატარებული დროით უკმაყოფილო არ ვარ.

— „ჩიხურაში“ თბილისის „დინამომ“ გაგანათხოვრა. რატომ მოხდა ასე?

— „დინამომ“ ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, რომლის პირობებიც არ მომეწონა. ამიტომაც, დროის გაცდენას „ჩიხურაში“ თამაში ვამჯობინე.

— „დინამოს“ ხელმძღვანელებზე ნაწყენი ხარ?

— მათთან არანაირი კონფლიქტი არ მომსვლია. რაც შემეძლო, „დინამოსთვის“ ყველაფერი გავაკეთე, თავი არ დამიზოგავს და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გავხდი, მაგრამ მათი გულები მაინც ვერ მოვიგე.

— „ოლიმპის“ უცხოელებზე რას იტყვი?

— ამხანაგურებში სამივე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და ვნახოთ, ოფიციალურ მატჩებში როგორ წარმოაჩენენ თავს.

— ყაზახურ „ასტანასთან“ რა შანსები გაქვთ?

— ჩემი აზრით, „ოლიმპს“ შეუძლია ყაზახური ბარიერის დაძლევა და მეორე ეტაპზე ნორვეგიულ „რუსენბორგთანაც“ არ უნდა შევრცხვეთ.

— და ახალ სეზონში კლუბის ხელმძღვანელობის მიზანი რა არის?

— ევროთასზე ღირსეული გამოსვლა, საქართველოს ჩემპიონობა და თასის აღება. აი, ასეთი მიზანი გვაქვს.

**ნუკრი ლოლაძე**



მიხეილ ბობოხიძე (მარცხნივ)

# ბობოხიძე ბოლნისშია

## სიონს დირექტორიც შეეცვალა

**ცვლილებები** ბოლნისის „სიონის“ დირექტორატში — კლუბის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მალხაზ აბრამიშვილის ნაცვლად ნუგზარ ლომთაძე დაინიშნა.

რაც შეეხება საწვრთნელ პროცესს, გუნდი ჩვეულებრივ რიტმში ვარჯიშობს. ორი დღეა, გუნდთან ერთადაა მიხეილ ბობოხიძეც, თუმც კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია.

„სიონი“ 18 ივლისამდე ბოლნისში მოემზადება, შემდეგ კი ურეკში გაემგზავრება.

ზღვისპირეთში წასვლამდე ბოლნისელები ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ — 14 ივლისს „მერანს“ გაეჯიბრებიან, ხოლო მეორე მეტოქის და თარიღის ვინაობა ზუსტდება.

„სიონი“ ტესტებს ზღვისპირეთშიც გეგმავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ამერი ჩეხეთიდან მოგებული მოდის



დიმიტრი ტატანაშვილი: 4 გოლი 6 მატჩში

**პლზენი 0:1 ამერი**

0:1 ტატანაშვილი (76)
პლზენი: დანეკი, რადა, მიულერი, პროხაზკა, კრბეჩეკი, ფილო, იაროლიმი, მალარი, ზაკოპალი, როტი, სმოლა
მწვრთნელი: სტანისლავ ლევი
ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი (ელბაქიძე 69), კაკაშვილი (კობაური 78), დოლიძე (ა. ალავიძე 60, დ. მჭედლიშვილი 88), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (დეკანოსიძე 77), ჯელაძე (შალამბერიძე 67), დავითაშვილი (ტატანაშვილი 60), რ. გოცირიძე (ცხადაძე 85)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
გაფრთხილება: შალამბერიძე (74)
მსაჯი: რადეკ პრიჰოდი (ჩეხეთი)

**„ამერმა“** ჩეხური შეკრება „პლზენთან“ გამარჯვებით დაასრულა. გუნდი დღეს საღამოს პრაღიდან სტამბოლში ჩავა, თბილისში კი გვიან ღამით ჩამოფრინდება.

„პლზენთან“, რომელმაც გამბრინუსლიგაში გასული სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა, უცნაური თამაში გამოვიდა. ამერელებს პირველ ტაიმში ბლომად წუნი ჰქონდათ — ბევრი არაზუსტი პასი იყო და, შესაბამისად, მეტოქეც საკმაო უპირატესობას ფლობდა, თუმცა ბევრი მომენტი „პლზენს“ არ ჰქონია, „ამერის“ დაცვა კარგად თამაშობდა. მეორე ტაიმში კი პირიქით იყო — ამერელები რამდენიმეწუთიანი მონაკვეთის გარდა საკმაო უპირატესობას ფლობდნენ და კარგი მომენტებიც შექმნეს. დიმიტრი ტატანაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ააცილა, გიზო ჯელაძის პასს სულიკო დავითაშვილმა ფეხი დაახვედრა და მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, არჩილ ალავიძის პასზე რევაზ გოცირიძეს სანტიმეტრები დააკლდა, თორემ ეფექტური თავური გოლი გამოუვიდოდა.

ერთადერთი გოლი კი ტატანაშვილმა გაიტანა 76-ე წუთზე: წინა სეზონში ამერელთა საუკეთესო მეგოლემ ალავიძის ჩაწოდებულ კუთხურს თავი დაჰკრა.

ამგვარად, ჩეხეთში ჩატარებული ექვსი მატჩიდან „ამერმა“ სამი მოიგო, ორში დამარცხდა, ერთი კი ფრედ ითამაშა.

თბილისში კი „ამერი“ კაცნაკლული ბრუნდება: რატი წინამძღვრიშვილს დღეს დილით ერთ-ერთ ჩეხურ კლინიკაში მუხლის ოპერაცია გაუკეთეს და სამშობლოში მომავალ კვირაში გამოუშვებენ.

**გიორგი დარჯანია ბლშანიდან**

# ლუქსემბურგთან: 22-ში 22-ზე

**22 აგვისტოს** ლუქსემბურგი — საქართველოს ამხანაგური მატჩი ლუქსემბურგის „სტად ჟოზი ბარტელზე“ გაიმართება და ჩვენი დროით 22 საათზე დაიწყება.

საქართველოს დელეგაცია სასტუმრო „ნოვოტელში“ დაბინავდება.

ეს იქნება 2007 წლის მეორე ამხანაგური მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის: პირველი 7 თებერვალს თბილისში იყო, როცა კლაუს ტოპმიოლერის გუნდმა თურქეთს 1:0 აჯობა.

# პოლონეთმა ადგილი თქვა

**22 აგვისტოს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პოლონელ 21-წლამდელებს ესტუმრება.

გუშინ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცნობა, რომ მატჩი კრაკოვიდან ოცი კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ზაბიერზოვში გაიმართება.

იმავ დღეს ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კიდევ ერთი თამაშია — ყაზახეთი რუსეთს ყარაგანდაში უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევი ციკლის პირველ ტურში ქართველებმა თბილისში ესპანეთთან უდრამატულეს ჯახში 0:1 წააგეს...

**კახა შალამბერიძე**

# ქართველები გვყავს, სომხები გვინდა...

**ახალციხის** „მესხეთის“ ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა დებიუტანტმა გუნდმა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს და ყველა გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყოს. მესხებმა კიდევ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი დაიმატეს: შოთა ჯიქია, გიორგი სომხიშვილი და ვახტანგ აკოფიანი.

„მესხეთი“ ამით სულაც არ კმაყოფილდება და სეზონის დაწყებამდე კიდევ გეგმავს შევსებას.

გუნდი ზღვისპირა კურორტსაც მიაშურებს შეკრების გასავლელად. დაგეგმილია რამდენიმე ტესტ-მატჩიც: 14 ივლისს გორში „დილასთან“, დანარჩენი კი — ზღვისპირეთში.

„ჯიქიასა და სომხიშვილს სერიოზულ შენაძენად მივიჩნევ. შარშანდელ ჩემპიონატში ორივე გამოირჩეოდა. აკოფიანი ბოლოს სომხეთში თამაშობდა და ისიც ძალიან წაადგება გუნდს — გვითხრა ახალციხელთა პრეზიდენტმა გია მესხელმა — თითქმის ყველა რგოლი დაკომპლექტებულია. ერთადერთი, სადაც კიდევ ვაპირებთ ფეხბურთელების დამატებას, ნახევარდაცვაა. ამ პოზიციას ალბათ ლეგიონერებით შევავსებთ სომხეთიდან. რამდენიმე ფეხბურთელს კი გაუწიეს რეკომენდაცია, მაგრამ მათმა თამაშმა არ დაგვაკმაყოფილა. რამდენიმეს კიდევ ვაკვირდებით...

...გუნდმა ვარჯიშიც და ტრანსფერებიც ცოტა გვიან დაიწყო, თუმც შეძენილი ფეხბურთელებით კმაყოფილები ვართ და იმედიანად ვუყურებთ ჩემპიონატის დაწყებას — „მესხეთი“ თავს არავის დააჩაგვრინებს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გაჭირვებულები აღმართში

**11 აგვისტოს** მე-19 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, მანამდე ერთი კვირით ადრე კი საქართველოს თასის გათამაშება.

პროფლიგაც გამალებით ემზადება და ხვალიდან კომისია სტადიონების შემოწმებას დაიწყებს — პირველ ეტაპზე შეამოწმებენ მცხეთის, მუხრანის, ბორჯომის, ახალციხის, სამტრედიის, ზესტაფონის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, ხობის და გორის სტადიონებს.

გეცოდინებათ, პროფლიგის გადაწყვეტილებით, პირველივე ტურიდან მატჩებზე დასასწრები ბილეთები უნდა გაიყიდოს და კომისია შეისწავლის, ამა თუ იმ სტადიონზე ეს რამდენად მოსახერხებელია და ხომ არ შეიქმნება პრობლემები — ანუ რომ არ მოხერხდეს ლობეებზე გადაძრომა-გადმოძრომა და ამოიქოლოს „შავი გასასვლელები“.

5 ივლისს პროფლიგაში უმაღლესლიგელმა კლუბებმა უკვე წარადგინეს ფინანსური გარანტიები. ახლა კი, პროფლიგის მოთხოვნით, ეს თანხა ჩემპიონატის დაწყებამდე 20 დღით ადრე კლუბებმა ანგარიშზეც უნდა აჩვენონ.

ახლა პირველ ლიგაზეც: „ნორჩ დინამოელს“, „რაჭას“ და ტყიბულის „მეშახტეს“ დავალიანება ჰქონიათ და 13 ივლისამდე თუ ვერ გადაიხდიან, ჩემპიონატში არ დაიშვებიან. ვალი აქვთ პირველი ლიგიდან გავარდნილებსაც, ოზურგეთის „მერცხალს“ და თბილისის „სპარტაკს“ — თუ ისინიც ვერ გადაიხდიან თანხას, რეგიონალლიგაში ვერ ითამაშებენ.

თან რამდენიმე რეგიონალლიგელი კლუბი მზადაა პირველ ლიგაში სათამაშოდ: თუ ისინი „ნორჩი დინამოელის“, „რაჭას“ და „მეშახტეს“ ვალს გადაიხდიან, ავტომატურად ჩაენაცვლებიან მათ. და თუ ასე არ მოხდა, მაშინ პროფლიგას სხვა გზა არ დარჩება და პირველი ლიგის ფორმატს შეცვლის.

**ილია ნანობაშვილი**

# 7 წლის წინ: ბერნდ შუსტერი სტუმრად სარბიელთან

## მადრიდის „რეალის" ახალდანიშნულმა მწვრთნელმა თავის დროზე ჟურნალ „სარბიელს" ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა

*დიდი ფეხბურთელი იყო, სხვათაგან გამორჩეული, ხასიათითაც თავისებური. ეროვნულ გუნდში ადგილის დამკვიდრება არ გასჭირვებია, 20 წლისა ევროპის ჩემპიონი გახდა და საფეხბურთო სამყაროც აალაპარაკა.*

*თანაგუნდელთა უმეტესობას ათვალწუნებული ჰყავდა, არა თამაშის გამო, სხვა მიზეზით... მის ცოლზე ამბობდნენ, პრეტენზიულიაო... მის გარშემო ათასი ჭორი დადიოდა. უტეხი იყო, თანაგუნდელებთან სულ კონფლიქტი ჰქონდა.*

*კარიერა 1978 წელს დაიწყო სახელოვან „კიოლნში". თითქმის ოცი წელი ითამაშა, ნაკრების მაისურა კი სულ 21-ჯერ მოირგო, ბოლოს 1984 წელს. თავად განსაჯეთ, დიეგო მარადონას, გარი ლინეკერის, ალან სიმონსენის, უგო სანჩესის, ემილიო ბუტრაგენიოს და სხვა ბევრი ვარსკვლავის მხარდამხარ თამაშობდა. ცხადია, გერმანელების ჩაუთვლელად.*

*სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელის ზენიტი ჩვენში გაგანია კომუნისტურ მმართველობას დაემთხვა. სად იყო მაშინ ამდენი სატელევიზიო არხი. ცენტრალური ტელევიზია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს თუ გვიჩვენებდა, საკლუბო ტურნირების მატჩებს კი საბჭოური გუნდების მონაწილეობით. იშვიათად, უცხოელთა თამაში გვეხილა. სწორედ ეს „იშვიათად" გვაძლევდა საშუალებას, ამ ფეხბურთელის ოსტატობაში დავრწმუნებულიყავით. 1980 წელს, როცა ევროპის ჩემპიონი გახდა და ამ ქერა ჭაბუკმა გაიბრწყინა, ჩვენ ტელევიზორებთან ვისხედით და „ვრემიაში" ნაჩვენები გოლებით გვაკმაყოფილებდნენ. 1982, 84, 86 წლების ჩემპიონატებზე კი, ისევ და ისევ თავისივე ხასიათის გამო, არ უთამაშია.*

*ეს კაცი ბერნდ შუსტერია.*

*მაღალი რომ მახსოვს, შედარებით მოსუქებულა, თმებიც ოდნავ დაუმოკლებია, თუმცა იერი არ შესცვლია, კვლავ კლასიკური, გერმანელი — აი, ასეთი იყო ბერნდ შუსტერი, როცა ამას წინათ თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" შევხვდი. პირადი, ისიც ულვაშა, ხოტორა და კიკინიანი მცველი არ შორდებოდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თან დაჰყვებოდა.*

*უჟმური მეგონა, ქედმაღალი... სხვანაირი ყოფილა — გულღია, თავაზიანი...*



# თეთრი ანგელოზი

## ბერნდ შუსტერი: კლასიკური, მაღალი, ქერა, გერმანელი, გრძელი თმით და ულვაშით

— ინტერვიუ?

— დიახ, ჟურნალ „სარბიელისთვის"...

*შუსტერი შეყოვნდა, გაიღიმა, ცოტა დაფიქრდა. პაუზა...*

— სიამოვნებით. აქ დავსხდეთ?

— ...

— ერთი წუთით, უკაცრავად.

*გერმანელი შეტრიალდა. მცველი მიუახლოვდა, თავი დაუკრა და გაშეშდა. დაახლოებით ნახევარი საათი იქვე იდგა, ვიდრე შუსტერმა არ ანიშნა, წავედითო.*

— დავიწყოთ?

— დავიწყოთ... ფეხბურთს დაახლოებით ოცი წელი თამაშობდით — ჯერ „კიოლნი" იყო...

— არა, თავიდან ქალაქ აუგსბურგის გუნდი.

— ეგ, მგონი, ბავშვობაში...

— ჰო, მაგრამ თამაში იქ დავიწყე.

— კეთილი. ჯერ აუგსბურგი, მერე „კიოლნი", „ბარსელონა", „რეალი", „ატლეტიკო", „ლევერკუზენი", გერმანიის ნაკრები. გული რაზე გწყდებათ? რა გსურდათ და ვერ შეძელით?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს ვნატრობდი. სამწუხაროდ, არ გამომივიდა, თუმც იმედი კი მაქვს, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ადრე თუ გვიან მაინც ვიქნები. ახლა მე მწვრთნელი ვარ, ჯერჯერობით უმუშევარი, მაგრამ უახლოეს მომავალში რომელიმე გუნდს აუცილებლად გავწვრთნი, მერე ალბათ ღმერთიც გადმომხედავს და გერმანიის ნაკრებს ჩამაბარებენ. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი მაქვს. სხვა, ვფიქრობ, არაფერი დამკლებია, ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობდი ძალიან ძლიერ კლუბებში. ჩემი თანაგუნდელები მსოფლიო დონის ფეხბურთელები იყვნენ. ხალხს სიამოვნებდა ჩვენი თამაშის ხილვა.

— **ყველაზე მეტად რა გაგიხარდათ?**

— ევროპის ჩემპიონობა, თუმც ღრუბლებში არ მიფრენია.

— **მაშინ თქვენ მხოლოდ 20 წლის იყავით. არ გაგჭირვებიათ?**

— ოცისა კი ვიყავი, მაგრამ გამოცდილება მქონდა. ევროპის პირველობამდე ორი წელი „კიოლნში" ვთამაშობდი, გერმანიის ჩემპიონები გავხდით და თასიც მოვიპოვეთ. წარმოიდგინეთ, ბუნდესლიგის ჩემპიონი როგორი გუნდი იქნებოდა. ნაკრებში პირველად 1979 წელს მომიწვიეს. რამდენიმე მატჩი ჩავატარე და მერე დაიწყო ევროპის პირველობა. პარტნიორებთან უკვე შეთამაშებული ვიყავი.

— **1979 წელი კარგად გახსოვთ?**

— ისე რა.

— **აქ, თბილისში, საბჭოთა კავშირის ნაკრები რომ დაამარცხეთ, არ გახსოვთ?**

— თბილისში? საბჭოთა ნაკრებს საქართველოში ვეთამაშეთ?

— **დიახ.**

*შუსტერმა მხრები აიჩეჩა, თავი ასწია, ხელები შეათამაშა, იდაყვი მაგიდაზე ჩამოდო, თითი საფეთქელთან, შემომხედა...*

— **ვერ იხსენებთ...**

— სამწუხაროდ. ესე იგი, თბილისში მეორედ ვარ? საბჭოთა ნაკრებს 1979 წელს მართლაც ვეთამაშეთ, მაგრამ... ძალიან კარგი სასტუმროა. „შერატონი", არა?

— **„შერატონია"...**

— მოხერხებული და მყუდროა.

— **1980 წლის ევროპის ჩემპიონატი არ დაგვიწყებიათ?**

— რა დამავიწყებს. პირველ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ მწვრთნელმა არ მათამაშა, თუმცა მისი კარგად მესმოდა, ახალგაზრდა ვიყავი და პირველ მატჩში გამოცდილებს ენდო. ჩვენებმა ცუდად ითამაშეს და 1:0 გაჭირვებით მოვიგეთ. გოლი რუმენიგემ გაიტანა მეორე ტაიმში. მეორე მატჩში ჰოლანდიასთან გვქონდა. იუპ დერვალმა წინა დღით მითხრა, ძირითადში იქნებიო. შანსი მომცა და უნდა გამომეყენებინა. ძალიან მოვინდომე, გუნდმაც ჩინებულად ითამაშა. ბოლო წუთებამდე 3:0-ს ვიგებდით, მერე ცოტა მოვდუნდით და ორი გოლი გავუშვით. მაშინ ისე მოხდა, რომ სამივე გოლი კლაუს ალოფსმა გაიტანა, სამივე ჩემი პასით. იმის მერე ნაკრების საქმე კარგად წავიდა. მე კი ძირითადში დავიმკვიდრე ადგილი, თუმცა მომდევნო მატჩამდე ვარჯიშზე ფეხი ვიტკინე და ბერძნებთან იძულებით დავისვენე. სამაგიეროდ, ფინალში, ბელგიის წინააღმდეგ 90 წუთი ვითამაშე...

— **პირველი გოლიც თქვენ გააკეთეთ...**

— ჰო, ჰრუბეშმა გაიტანა. იმ წელს მართლაც ბრწყინვალე გუნდი გვყავდა. შუმახერი, ფიორსტერები, კალცი, ჰრუბეში, რუმენიგე, კულმანი, შტილიკე, ალოფსი... მწვრთნელი იუპ დერვალი.

— **შუსტერი რატომ არ ახსენეთ?**

— შუსტერი? საკუთარ თავზე ხომ არ ვიტყვი... თქვენ თქვით.

— **ჩვენ ათასჯერ გვაქვს ნათქვამი — ძალიან ძლიერი გამთამაშებელი იყავით...**

— სასიამოვნოა ამის მოსმენა.

— **„ბარსელონაში" გატარებული რვა წელიც ამის დასტურია. ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ წახვედით. „კიოლნი" რატომ მიატოვეთ?**

— 78-ში გერმანიის ჩემპიონები რომ გავხდით, მერე გუნდში რატომღაც ვითარება შეიცვალა, ყველაფერი აირია. „კიოლნი" დასუსტდა. მე კი ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ, რომშივე, „ბარსელონას" წარმომადგენლები შემხვდნენ და მათთან გადასვლა შემომთავაზეს. პირობებიც ჩინებული მითხრეს. მეც ავდექი და გავეცალე „კიოლნს"...

წავედი ბარსელონაში. არც ენა ვიცოდი, არც იქაურების მენტალიტეტი, თუმცა არ გამჭირვებია. ჩემი ენა ვიცოდი, ფეხბურთის ენა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია, ამ ენაზე ყველა ყველაფერს ხვდება. ჩინებულად შევეწყვე თანაგუნდელებს, ქომაგების პატივისცემა, სიყვარული დავიმსახურე. ვთამაშობდი და ხალხს სიამოვნებდა. პარტნიორებს არ იკითხავთ? მარადონა, კრანკლი, სიმონსენი, ლინეკერი, ყველას ვერ ჩამოვთვლი. მათთან მოედნის მიღმაც სასიამოვნო ურთიერთობა მქონდა.

— **ახლაც?**

— რა თქმა უნდა.

— **მარადონას ხვდებით?**

— რამდენიმე დღის წინ ტელეფონით ვესაუბრე, კუბაშია. მარადონა ჩემი მეგობარია, ახლობელი, კარგად ვიცი, ვინც და რაც არის. როგორი ფეხბურთელიც იყო, ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია, მე ყველა დროის საუკეთესო სწორედ ის მგონია. მას დიდ პატივს ვცემ, იმიტომ, რომ ძალიან მაგარი კაცია. კი, მართალია, თავისებურია, მაგრამ არც ისეთი ჭირვეულია, როგორც ხატავენ.

— **თქვენი საუკეთესო პარტნიორიც ის იყო?**

— ერთ-ერთი. სადაც კი მითამაშია, ყველგან მყავდა ისეთი თანაგუნდელი, ვის გვერდითაც მოედანზე ყოფნა მსიამოვნებდა. „ბარსელონაში" მარადონა ხომ იყო და იყო, მის გარდა სიმონსენთან და ლინეკერთან მიადვილდებოდა თამაში, „რეალში" ბუტრაგენიოსი და უგო სანჩესის მესმოდა ჩინებულად, „ატლეტიკოში" ფუტრეს ვუგებდი სხვებზე მეტად, ეროვნულ ნაკრებში რუმენიგეს, ფიშერს, ალოფსსა და ჰრუბეშს. მე პასებს ვაკეთებდი, მათ გოლები გაჰქონდათ. კარგია, როცა გვერდით ასეთი ფეხბურთელები გიდგანან. ისე, მგონი, მათთვისაც მე ვიყავი სხვებზე უკეთესი პარტნიორი.

*შუსტერმა გაიღიმა, ულვაში ხელით გაისწორა, გაიხუმრა, რა თქ-*

*მა უნდაო, ჩაილაპარაკა, მერე პირად მცველს გახედა, არანაირი პრობლემაო, ანიშნა ბოდიგარდმა.*

— გავაგრძელოთ.

**— „ბარსელონა“ რატომღა დატოვეთ? თანაც „რეალში“, მის მოქიშპე გუნდში გადახვედით. რა მოხდა ასეთი?**

— დიდი არაფერი. „ბარსელონაში“ თავს კარგად ვგრძნობდი, ბედნიერების წუთებიც მქონდა, მაგრამ პრობლემებიც საკმაოდ. ყველაზე ცუდად 1986 წელი მაგონდება. მაშინ ჩემპიონთა თასის ფინალში „პორტუსთან“ დავმარცხდით და „ბარსელონას“ ხელმძღვანელებმა სხვებთან ერთად წაგებაში მეც დამადანაშაულეს. ამან ისე გამანაწყენა, შემდეგი სეზონი „ბარსელონაში“ საერთოდ აღარ მითამაშია. მერე გუნდს კი დავუბრუნდი, მაგრამ ცოტა ხნით. ამ დროს უამრავი წინადადება მივიღე სხვადასხვა კლუბებისგან. განსაკუთრებით იტალიელები აქტიურობდნენ. მართალია, „ბარსელონაც“ მთავაზობდა კონტრაქტის გაგრძელებას, მაგრამ მაინც მადრიდში, „რეალში“ გადავბარგდი. ამ არჩევანზე ოჯახსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. შვილები შეგუებულნი იყვნენ ესპანეთს, იქაურ ცხოვრების წესს.

**— კატალონიელი ქომაგებისგან ამას როგორი რეაქცია მოჰყვა?**

— ჩვეულებრივი, ჩემთვის არაფერი უგრძნობინებიათ.

**— ბარსელონასთან და მადრიდთან ახლაც გაქვთ კავშირი?**

— კი, ესპანეთში ხშირად ჩავდივარ. იქ ბევრი მეგობარი ცხოვრობს. ბარსელონაში სახლიც მაქვს.

**— „თეთრი ანგელოზი“ — ჟურნალისტები ასე მოგიხსენიებენ. მხოლოდ გარეგნობის გამო?**

— ალბათ. მე ხომ ქერა ვარ, თანაც, გრძელი თმები მქონდა და ეს უფრო თვალშისაცემი იყო. „ანგელოზი“ კი... რა ვიცი, თავად განსაჯეთ, ვიყავი თუ არა „ანგელოზი“.

**— მარადონაზე თქვით, თავისებურიაო. თქვენს მძიმე ხასიათზეც ბევრს ლაპარაკობდნენ. ასეა?**

— რა გითხრათ? შეიძლება ასეც არის.

**— გერმანიის ნაკრებში სულ 21-ჯერ ითამაშეთ. რისი ბრალია?**

— ხასიათის. კაცს რამდენჯერმე რომ მიგიწვევენ, გავარჯიშებენ, რამდენიმე დღე შეკრებაზე ჰყავხარ და მერე არ გათამაშებენ, გაგიფუჭდება ხასიათი, აბა რა იქნება. ბოლოს თავად ვიუარე ეროვნული გუნდი. თამაშის სურვილი დამიკარგეს. აბა, ჩემს ტყუილად გამოძახებას რა აზრი ჰქონდა? 1983 წელს ნაკრებს კი დავუბრუნდი, მაგრამ მერე უკვე ტრავმებმა შემაწუხა, იმ წელს სულ ოთხჯერ ვითამაშე. ამის გამო საფრანგეთში, 1984 წლის ევროპის ჩემპიონატიც გამოვტოვე.

**— იმასაც ამბობდნენ, ნაკრებში, თანაგუნდელთა უმეტესობასთან ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდაო. განსაკუთრებით პაულ ბრაიტნერთანო...**

— ყველაფერი გაზვიადებულია. რაღაც პრობლემები მართლაც იყო, მაგრამ ისეთი არაფერი, როგორც გაბერეს. იცით რას გეტყვით, მე რომ გერმანია 20 წლისამ დავტოვე და „ბარსელონაში“ წავედი, თქვენს გერმანელ კოლეგებს ეს არ ესიამოვნათ და მილიონი სისულელე მოიგონეს. პრესა ჩემდამი უარყოფითად იყო განწყობილი და საზოგადოებრივი აზრიც ასეთივე შექმნეს. ესპანეთში ჩემი კარგი თამაში არ მოსწონდათ. ბრაიტნერთან კი ერთხელ პატარა კონფლიქტი მქონდა, ეს გაიგეს და გრძელი კუდი გამოაბეს. აქაოდა, ერთმანეთს თავ-პირი დაუმტვრიესო. ხალხსაც სჯეროდა. არადა... ახლა ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, იმის მერე ბევრი რამ შეიცვალა.

**— ჟურნალისტებთან საქმეს აღარ იჭერთ?**

— იშვიათად. ახლა ყველამ გაიგო, რომ არც ისეთი ცუდი ვარ, როგორიც 10-15 წლის წინ წარმოედგინათ.

**— როგორც ფეხბურთელს, რა ნაკლი გქონდათ?**

— არაფერი...

*ისევ გაიღიმა, ისევ პირად მცველს გახედა, ისევ ვიხუმრეო, გერმანელმა.*

— ნაკლი? ალბათ ის, რომ დაცვაში ნაკლებსასარგებლო ვიყავი, თუმცა უკან დახევა ჩემი საქმე არც იყო. ამას ახლანდელი ფეხბურთის შემხედვარე ვამბობ, როცა თავდამსხმელიც კი მცველებს ეხმარება. ვფიქრობ, ყველაფერზე უკეთ პასი მეხერხებოდა, კიდევ, მოედანს კარგად ვხედავდი. მე მუდამ გამარჯვებისკენ ვიყავი შემართული. ნაკრების მაისურით თამაში არ წამიგია.

— ორჯერ.

— რა ორჯერ?

— ორჯერ წააგეთ.

— მართლა? ეტყობა, კარგად აღარ მახსოვს. ისიც გამიკვირდა, 21-ჯერ ითამაშე ნაკრებშიო, რომ მითხარით. მახსოვდა, რომ 22-ჯერ ვიყავი ეროვნული გუნდის წევრი. ალბათ ამერია.

**— ეგ არაფერი. დღევანდელ ფეხბურთში ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო გამთამაშებლად?**

— დღეს ნაღდი გამთამაშებლები, ისეთი, როგორიც მე ვიყავი, ან პლატინი იყო, აღარ არიან. გერმანიის მაშინდელი ნაკრების ძლიერებაც ეს გახლდათ — გუნდს გამთამაშებელი ჰყავდა. თითქოს ძალისმიერ ფეხბურთს ვთამაშობდით, მაგრამ არც ტექნიკური, ლამაზი ფეხბურთი დაგვეწუნებოდა.

**— გერმანული ფეხბურთის კრიზისის მიზეზი რა არის? რას ამბობენ გერმანიაში?**

— მართლაც ცუდი დრო დაგვიდგა. თაობა აღარ არის ისეთი, ადრე რომ იყო. გახსოვთ ჩვენი ფეხბურთელები? რაღა შორს წავიდეთ, კლინსმანი გაიხსენეთ, ფიოლერი, ბრემე, ბუხვალდი, მიოლერის საუკეთესო წლები... მათი შემცვლელები აღარ არიან. ამდენი ხანი პრობლემა არ გვქონია და ახლა მოგვაწვა ყველაფერი ერთად. სულ ბოსმანის კანონის ბრალია. ქვეყნის ჩემპიონატში იმდენი ლეგიონერია, რომ გერმანელი აღარ ჩანს. და განა ეს პრობლემა მარტო გერმანიაშია? თითქმის ყველა ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში ამას ჩივიან. ასე თუ გაგრძელდა, ფეხბურთი უფრო გაუარესდება. ჩემს დროს სად იყო ამდენი ლეგიონერი?

**— გერმანიას საუკეთესო ნაკრები რომელ წელს ჰყავდა?**

— მიჭირს გამორჩევა, ყველა გუნდი რაღაცით გამოირჩეოდა. შიონის, დერვალის, ბეკენბაუერის ნაკრებები ძალიან მაგარ ფეხბურთს თამაშობდნენ. გერმანიის ნაკრები ყოველთვის ძლიერი იყო.

— ახლაც?

— ახლანდელი უწინდლებზე სუსტია. ამის მიზეზი უკვე გითხარით.

**— და ერთსაც გკითხავთ. ყველა დროის საუკეთესო ნაკრები რომელია?**

— პელეს დროინდელი ბრაზილია და... ალბათ, მაინც 1974 წლის გერმანია, მაშინ მწვრთნელი ჰელმუტ შიონი იყო. ამ გუნდებს ნაკლი არ ჰქონიათ.

— გმადლობთ.

— დავამთავრეთ?

— კიდევ გავაგრძელოთ?

— თბილისში მესამედ რომ ჩამოვალ, მერე.

*შუსტერს ბოდიგარდი მოუახლოვდა, გვერდით ამოუდგა. აბა, წავედიო, დაგვემშვიდობა და სახსოვრად ეს ავტოგრაფი და კეთილი სურვილები დაგვიტოვა.*

**ქობა ინასარიძე**

**ჟურნალი „სარბიელი“. №3 მაისი, 2000 წელი**



2000 წლის 6 აპრილი. თბილისი. ბერნდ შუსტერი და ოთარ კორღალიძე ქართველ და გერმანელ ვეტერანთა შეხვედრაში



ბერნდ შუსტერი „ბარსელონას“ ფორმაში



კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი



AFP

### ნახევარფინალი

**ურუგვაი 2:2დ.დ. (პენ.4:5, 2:2) ბრაზილია**

0:1 მაიკონი (13), 1:1 ფორლანი (45), 1:2 ჟულიო ბაპტისტა (45), 2:2 აბრეუ (70)

*პენალტები: 0:1 რობინიო, 0:1 ფორლანი (მეკარე), 0:2 ჟუანი, 1:2 სკოტი, 1:3 ჟილბერტო სილვა, 2:3 გონსალესი, 2:3 აფონსო ალვეში (ძელი), 3:3 კ. როდრიგესი, 3:4 დიეგო, 4:4 აბრეუ, 4:4 ფერნანდო (ძელი), 4:4 პაბლო გარსია (ძელი), 4:5 ჟილბერტო, 4:5 ლუგანო (მეკარე)*

ურუგვაი: კარინი, ლუგანო, სკოტი, დ. როდრიგესი (ი. გონსალესი 46), მ. პერეირა, დ. პერესი (გარგანო 75), პაბლო გარსია, კ. როდრიგესი, ფუსილე, ფორლანი, რეკობა (აბრეუ 46)

მწვრთნელი: ოსკარ ტაბარესი

ბრაზილია: დონი, მაიკონი, ალექსი, ჟუანი, ჟილბერტო, მინეირო, ჟილბერტო სილვა, ჟოსუე (ფერნანდო 73), ჟულიო ბაპტისტა (დიეგო 73), რობინიო, ვაგნერ ლავი (აფონსო ალვეში 79)

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

გაფრთხილება: დ. როდრიგესი, ჟილბერტო, სკოტი, პერესი, ფერნანდო, აფონსო ალვეში, ჟილბერტო სილვა

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

42 000 მაყურებელი

# რა დონია!
## მეცხრე ბლოკის ნათესავი იპოვეს

**ორშესვენებიან** მატჩში ბრაზილიამ სამი წლისწინანდელი გაიმეორა. ისევე, როგორც 2004-ში, ურუგვაის პენალტებში აჯობა და ზედიზედ მეორედ გავიდა (სულ კი მეცხრამეტედ) „კოპა ამერიკას“ ფინალში, რომელიც შვიდჯერ მოუგია.

მარაკაიბოშიც ყოფილა მეცხრე ბლოკის ნათესავი, რადგან სტადიონზე, სადაც კვირას ფინალი უნდა გაიმართოს, მე-16 წუთზე ერთი პროჟექტორი გაითიშა, როცა ბრაზილიელები 1:0-ს იგებდნენ. მოედანზე ცოტა ჩამობნელდა და კოლუმბიელმა მსაჯმა ოსკარ რუისმაც ბურთი მოითხოვა. რუისი თანამსაჯებთან ერთად მოედანზე დასეირნობდა და ფეხბურთელებიც ალაგ-ალაგ დაჯგუფდნენ შუქის მოლოდინში. მერე გამოჩნდა ორი კაცი, ერთი ლაბადიანი, მეორე კი პიჯაკით. ისინი ოსკარ რუისს ელაპარაკებოდნენ, თან ხელს ჩამქრალი პროჟექტორისკენ იშვერდნენ. შემდეგ კოლუმბიელმა ურუგვაის და ბრაზილიის ნაკრებთა კაპიტნებს უხმო და ჩამობნელებულში თამაშის გაგრძელებაზე ესაუბრა. კაპიტნებმა იუარეს და მოედანზე სეირნობა გაგრძელდა.

ბოლოს პროჟექტორი გაცოცხლდა და მატჩიც გაგრძელდა.

შუქის ჩაქრობამდეც და მერეც მძიმე, ნახევარფინალის საკადრისი თამაში იყო და არ ჰგავდა მეოთხედფინალურ მატჩებს, რომლებშიც ერთნი მეორეებს ბალღებივით ჩაგრავდნენ.

ბრაზილიელებმა როგორც კი ოდნავ მოუმატეს ტემპს, გაიტანეს — მინეირომ ბურთი გაიგდო და საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა, კარინიმ მაიკონისკენ მოიგერია და ინტერელმაც საგოლედ დაამატა.

ამის შემდეგ იყო უშუქობა და არაოფიციალური, თოთხმეტწუთიანი ნაადრევი შესვენება, რომელმაც ურუგვაელებზე კარგად იმოქმედა. მატჩის განახლებისთანავე ალვარო რეკობამააწიოკა მეტოქის დაცვა თუ მეკარე — სამჯერ კუთხური ისე ჩააწოდა, რომ ბურთს კარში აზვევდა და ალეშანდრო დონი მოგერიებაში ისე დალალა, რომ ერთ ეპიზოდში დიეგო ფორლანისკენ მოიგერია და „ატლეტიკოს“ ფორვარდმა ბურთი ბრაზილიელთა კარში შეაგდო.

მერე ისევ იყო ჯაჯგური და ბრძოლა მოედნის ცენტრში, რაც პირველი ტაიმის ბოლომდე გაგრძელდა.

მეორე ნახევრისთვის ოსკარ ტაბარესმა დარიო როდრიგესი იგნასიო გონსალესით, ალვარო რეკობა კი სებასტიან აბრეუთი შეცვალა. კარლოს დუნგას არავინ შეუცვლია და მაინც იხეირა. საჯარიმოების შესრულებისას ბრაზილიელები ორიგინალურები იყვნენ — რამდენიმე ფეხბურთელი შეჯგუფდებოდა და საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებისას სხვადასხვა მხარეს გარბოდა მეტოქის დასაბნევად. მსგავსი რამ საქართველოსა და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრისასაც იყო ჩვენების შესრულებით. სწორედ ასეთი გათამაშებისას ჟულიო ბაპტისტამ ისევ დააწინაურა ბრაზილიელები.

ურუგვაიმ მშვიდად გააგრძელა. ვითომ არაფერი მომხდარა და სიმშვიდე დაუფასდა. სამსვლიანი კომბინაცია იმით დასრულდა, რომ დიეგო ფორლანმა თავით პასი მიაწოდა აბრეუს, რომელიც გასრიალდა და მარჯვენა ფეხით ორიოდ მეტრიდან გაუტანა დონის. ბრაზილიელი მეკარე გადახტა, მაგრამ ბურთი თავში მოხვდა და კარში შევარდა.

გათანაბრებიდან სამ წუთში კარლოს დუნგამ ორი შეცვლა გააკეთა. ჟოსუეს ნაცვლად ფერნანდო და ჟულიო ბაპტისტას მაგივრად ვერდერელი დიეგო შეუშვა. ამას მოჰყვა აფონსო ალვეშით ვაგნერ ლავის ჩანაცვლება და მაინც უშედეგოდ. შესულებმა ბრაზილიის თამაში ვერ გაახალისეს.

საქმე პენალტებამდე მივიდა. დონი, ძელი, ძელი, ძელი, დონი და ბრაზილია ფინალშია.

პენალტების სერია რობინიომ დაიწყო, რომელიც დაიკარგა ამ მატჩში და თერთმეტი მეტრიდან მესამედ გაიტანა ტურნირზე. რობინიოს შემდეგ დიეგო ფორლანს ფეხით აუღო დონიმ. ჟუანმა, ჟილბერტო სილვამ და დიეგომ გაიტანეს, ფერნანდომ და აფონსო ალვეშმა მეკარისგან მარჯვენა ძელს გაარტყეს ბურთი. ურუგვაელთაგან სკოტიმ, გონსალესმა, როდრიგესმა და აბრეუმ შეაგდეს. პაბლო გარსიამ მარცხენა ძელს დაუმიზნა, ხოლო საფინალო პენალტი დონიმ დიეგო ლუგანოს აუღო.

ბრაზილია ხტოდა, ცეკვავდა და ზეიმობდა, ურუგვაელთაგან კი ზოგს ნერვებმა უღალატა და საჩხუბრად გაიწიეს ფინალისტებისკენ, მიზეზი უცნობია.

კარლოს დუნგა: „თუ გინდა, რომ გამარჯვების გემო გაიგო, ასეთი მატჩები უნდა გაიარო. ურთულეს მომენტში ფეხბურთელები არ გატყდნენ და ბოლომდე იბრძოლეს. მადლობა ყველას, ვინც დამქანცველი სეზონის შემდეგ ჩამოვიდა, დასვენებაზე უარი თქვა და ქვეყანას უერთგულა. თითქმის ერთი თვის განმავლობაში ერთად ვიყავით და ერთი შენიშვნაც კი არ მაქვს მათთან. ისინი პატრიოტები არიან“.

**ვაჟა ხუციშვილი**





AFP

წაგებული ურუგვაელები ბრაზილიელებს აუშარდნენ



ელენი და ფრენკი




# ფრენკი კარგ ფორმაშია

**ინგლისური** პრესა, როგორც ჩანს, ფორმაში შევიდა — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავ კრიშტიანუ რონალდუს გელფრენდის, ჯემა ატკინსონისა და იმავე გუნდის ნაკლებვარსკვლავ ალან სმიტის ცულლუტობის ამბავს საკვირაო News of the World-მა ჩელსელი ფრენკ ლამპარდის ამბავიც მიაყოლა.

რაშია საქმე? ამ კითხვაზე News of the World-ი ასე გიპასუხებთ: ლამპარდმა, რომელიც თანაგუნდელებთან ერთად რამდენიმე დღეა, ამერიკაშია, ჩასვლიდან 48 საათში „მაგარი“ შავგვრემანი ქალი „დაითრია“ და ლას ვეგასში, თავისი მდიდრული სასტუმროს ნომერში აიყვანა, მისი კატალონიელი საცოლე თუ ცოლი ელენ რივესი ორ პატარა ლამპარდთან ერთად კი ამ დროს ლონდონში „მამიკოზე“ ფიქრობდა.

ნუ, ვინაიდან იმაზე საუბარმა, თუ როგორ ფიქრობდა მივლინებაში წასულ ქმარზე ბავშვებთან დატოვებული ცოლი, მოწყენა იცის, ლას ვეგასში დატრიალებულ ისტორიაზე ვილაპარაკოთ...

ეს ამბავი ხუთვარსკვლავიან Wynn hotel-ის კაზინოში დაიწყო, სადაც ლამპარდმა ბლექჯეკის მაგიდასთან ისეთი აღმოსავლეთევროპელი ქალი დაინახა, თვალები ბუდიდან გადმოუცვივდა. შემდეგ, როგორც ყვითელი ჟურნალისტები იტყობინებიან, დასავლეთევროპელი ფეხბურთელისა და აღმოსავლეთევროპელი ლამაზმანის წყვილი ორი საათით განმარტოვდა, ღამის 2-ზე კი ხელიხელგადახვეული დაბრუნდა საჯარო ადგილას, სადაც ლამპარდმა ლამაზმანს ლოყაზე აკოცა და დაშორდა, თანაგუნდელების საძებნელად გაეშურა.

გაეშურა თუ არა ლამპარდი თანაგუნდელების საძებნად, ქალთან News of the World-ის კორესპონდენტი მივიდა და უთხრა, რომ კაცი, რომელთანაც მან ცოტა ხნის წინ დრო ატარა, „ესა და ეს“ იყო.

„წარმოდგენა არ მქონდა, რომ ის ცნობილი და მდიდარი ფეხბურთელი იყო. მან ისიც დამიმალა, ცოლი და ორი ქალიშვილი რომ ჰყავდა — თქვა ყოფილმა სოცბანაკელმა — რა საშინელებაა, არ ვიცი, რა ვიღონო“.

ბუნებრივია, ეს ქალი მომხდარს როგორმე გადაიტანს და რა იღონოს, იმასაც მოიფიქრებს, გაზეთში კი სულ წუთი წუთშია მოთხრობილი, როგორ ჩაფრინდნენ „ჩელსის“ ვარსკვლავები, ლამპარდი, შონ რაიტ-ფილიპსი, უეინ ბრიჯი, გლენ ჯონსონი და სხვები ლოს ანჯელესში, როგორ გავარდნენ იმწუთას ლუდით დასათრობად, შემდეგ როგორ იჭყუმპალავეს აუზში, როგორ წავიდნენ ღამის კლუბში და სხვა და სხვა.

სხვათა შორის, ნომერი, რომელიც ლამპარდს Wynn hotel- ში ჰქონდა დაქირავებული, ღამეში 4-ათასდოლარიანია...

**ბაჩუნა ძიდია**

# ფერგიუსონს უკეთესის სჯერა

## სამოქალაქო ომი მანჩესტერმა უნდა მოიგოს

ინგლისის მოქმედი ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა მორიგი პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც მომავალ სეზონზე, თავისი გუნდის გეგმებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე ისაუბრა...



### კონკურენტებზე

„მეგონა, ისინი გაცილებით მეტ ფულს დახარჯავდნენ და მეტ ფეხბურთელს დაიმატებდნენ. პრემიერლიგაში ახლა დიდი ფული ტრიალებს და ველოდით, ჩვენი კონკურენტები სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურებდნენ. სწორედ ამიტომ ვიჩქარეთ და ნანი, ანდერსონი და ჰარგრივსი დავიმატეთ. ასეა თუ ისე, ბრწყინვალედ ვიმუშავეთ და მეც დამშვიდებულმა დავისვენე“.

### გლეიზერებზე

„ისინი ყველანაირად გვერდში გვიდგანან. გუნდის გასაძლიერებლად დიდი ფული გამოგვიყვეს, რისთვისაც მადლობელნი ვართ. ახლა ჩვენს განკარგულებაში ძალიან ძლიერი შემადგენლობაა, რომელსაც ნებისმიერი ტიტულის მოგება შეუძლია. სწორედ ფეხბურთელების უკმარისობის გამო ვერ შევძელით წინა სეზონში სამივე ტიტულის მოგება. ჩვენს მიერ უკვე განხორციელებული და კიდევ ერთი მოსალოდნელი ტრანსფერის გათვალისწინებით, მომავალი სეზონი „მანჩესტერისთვის“ უაღრესად იმედისმომცემია“.

### წამსვლელები

„ვერ გეტყვით, რომ ვინმეს წასვლა გადაწყვეტილია, მაგრამ დიდი შანსია, რამდენიმე მოთამაშემ დაგვტოვოს. ახლა გუნდში ძალიან ბევრი ფეხბურთელია. იმისთვის, რომ ყველა დიდი ტურნირის მოგების შანსი გვქონდეს, მძლავრი გუნდი უნდა გყავდეს. ფაქტობრივად, ვერავინ მიიღებს ყველა მატჩში მონაწილეობას. იმედია, ბიჭებს ეს ესმით და წარმატების მისაღწევად ბოლომდე დაიხარჯებიან. შესაძლოა, ვინმემ გადაწყვიტოს, რომ ახლანდელი ვითარების გამო სასურველი სათამაშო დრო არ მიეცემა და წასვლაზე იფიქროს. თუმცა ჯერჯერობით არავის გაშვება არ გვაქვს გადაწყვეტილი“.

### ტრავმები

„გასული სეზონის ბოლოს დაშავდნენ მიკაელ სილვესტრი, გარი ნევილი და ჯი-სუნგ პარკი. ნემანია ვიდიჩს თითქმის სეზონის მთელი ბოლო მონაკვეთი გაუცდა. ტრავმა მიიღო პატრის ევრამ, პრობლემები ჰქონდა რიო ფერდინანდსაც, ლუი საამ საერთოდ ნახევარი სეზონი ითამაშა. ძალიან ვინანე, რომ ჩვენი ახალგაზრდები სხვადასხვა გუნდებში გავანათხოვრეთ. მათი დატოვება რომ მომეთხოვა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლისა და ინგლისის თასის მოგების ბრწყინვალე შანსი გვექნებოდა“.

### პრემიერლიგა

„ამჟამად პრემიერლიგაში დიდი კონკურენციაა, განსაკუთრებით ისტორიულ დაპირისპირებებს თუ გავითვალისწინებთ. ზოგჯერ უბრალო საფეხბურთო კლუბთან კი არა, მთელ ქალაქთან ან მთლიანად საგრაფოსთანაც გიწევს შეჯიბრება. ეს ორსაათიან სამოქალაქო ომს ჰგავს ხოლმე“.

### ჩემპიონთა ლიგა

„ევროპაში, რა თქმა უნდა, წარმატების მიღწევა გვინდა. წინა სეზონში „მილანთან“ წაგება ჩვენი მესამე მარცხი გახლდათ ნახევარფინალურ ეტაპზე. ეს ნამდვილად არ გვაკმაყოფილებს. „მანჩესტერს“ მეტი შეუძლია და ახალწვეულებიც დაგვეხმარებიან. თან მათ ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილება აქვთ. იმედია, თამაშის ხარისხს გავაუმჯობესებთ და უფრო სწრაფებიც გავხდებით. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგაში უფრო უკეთ თამაში და წარმატების მიღწევა შეგვიძლია“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ლუსიო აგვისტოდან ჰერტელია

**„ბრემიოს“** მცველი ლუსიო „ჰერტამ“ მილიონ გირვანქად იყიდა და ფეხბურთელი აგვისტოში ბერლინში ჩავა.

ლუსიო „პალმეირასს“ ეკუთვნის, რომელიც ამ თანხიდან 750 ათასს მიიღებს, ხოლო „გრემიოს“, სადაც განათხოვრებული იყო, 250 ათასი დარჩება.

„ძალიან მიხარია, რომ ბუნდესლიგაში ვითამაშებ — თქვა ბრაზილიელმა — მადლობა ჩემს კლუბებს, რადგან „ჰერტასთან“ მალე მორიგდნენ და არ გამაწვალეს“.

# კარაგუნისი სახლში წავიდა

**ევროპის** 2004 წლის ჩემპიონი გეორგიოს კარაგუნისი „პანათინაიკოსში“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა — მას „ბენფიკასთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და ბერძნულ კლუბს მუქთად ერგო.

კარაგუნისი 2003 წლამდე თამაშობდა „პანაში“, საიდანაც „ინტერმა“ წაიყვანა და იქ გატარებული ორი სეზონის შემდეგ „ბენფიკას“ მიაშურა.

ბერძენ ნახევარმცველს ნაკრებში 63 მატჩი უთამაშია.

# მაურინიუმ რობენი დააბა

**ჟოზე მაურინიუ** არიენ რობენს გუნდიდან არ უშვებს.

„ჩვენ ფლორენ მალუდა ვიყიდეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს რობენის წასვლას — თქვა პორტუგალიელმა — ჰოლანდიელი ნახევარმცველი „ჩელსის“ სჭირდება. კონტრაქტი 2009-ში ეწურება და მის გახანგრძლივებას ვცდილობთ. მართალია, რობენი გასულ სეზონში არ ბრწყინავდა, თუმც გვჯერა, რომ გამოსწორდება“.

# კუდროვი ლევერკუზენში

**„ლევერკუზენმა“** ბულგარეთის ჩემპიონ „ლევსკიდან“ 19 წლის ფორვარდი ანასტას კუდროვი შეიძინა — წერს Goal.Com-ი.

მის სანაცვლოდ „ფარმაცევტებმა“ 350 ათასი ევრო გადაიხადეს. „ლევსკიმ“ უკვე მეორე ახალგაზრდა ფეხბურთელი გაყიდა. კუდროვამდე მეკარე ნიკოლაი მიხაილოვი „ლივერპულში“ გადავიდა.

19 წლის თავდამსხმელის გადაბირება „მონაკოს“ და „ტოტენჰემსაც“ სურდათ.

კუდროვი ანდრეი ვორონინს შეცვლის, რომელიც მიხაილოვის თანაგუნდელი გახდა.

შეგახსენებთ, რომ „ლევერკუზენმა“ უკვე იყიდა „ბოხუმიდან“ ბუნდესლიგის გასული სეზონის მთავარმეგოლე თეოფანის გეკასი.

**ვაჟა ხუციშვილი**




# დავიწყებული ძველი: ახალი კალჩოპოლი

**კალჩოპოლი** გრძელდება. ნეაპოლის პროკურატურა შარშან ზაფხულს დაწყებულ გამოძიებას აგრძელებს.

ახალი და განსაკუთრებული არაფერია: დასახელდა მატჩების ჩაწყობაში გარეული 37 ადამიანი, რომელთაგან უმეტესობის ვინაობა აქამდეც ცნობილი გახლდათ და ისინი უკვე დასჯილები არიან.

„იუვენტუსის“ ექსდირექტორები, ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო, მსაჯების ყოფილი დამნიშვნელები, პიერლუიჯი პაირეტო და პაოლო ბერგამო, მსაჯი მასიმო დე სანტისი და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ინოჩენცო მაცინი ამ დანაშაულებრივი „ქსელის“ შემქმნელებად და ორგანიზატორებად დასახელდნენ.

იმ 37 ადამიანს შორის არიან „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო, „ფიორენტინას“ მმართველი დიეგო დელა ვალე, „რეჯინას“ მფლობელი ლილო ფოტი და „მილანის“ ექსჩინოვნიკი ლეონარდო მეანიც.

2004-05 წლების სეზონიდან გამოძიებულ იქნა სერია A-ს 29 მატჩი. სერია B-დან კი მხოლოდ ერთი, 2005 წლის 14 მაისს გამართული „არეცო“ — „სალერნიტანა“.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ფრანკო კარაროსა და მსაჯების ექსდამნიშვნელ ტულიო ლანეზეს კი ბრალდებები მოეხსნათ.

კალჩოპოლი-2 კი გრძელდება...

**გიორგი ძაძაბაძე**

# მილანის პროექტი ხელშეუხებელია: გურკუფი 2012

**იტალიურმა** „მილანმა“ თავის ახალგაზრდა და პერსპექტიულ ნახევარმცველ იოან გურკუფთან კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულამდე გააზანგრძლივა.

20 წლის ფრანგი „როსონერიში“ წინა ზაფხულს „რენიდან“ გადავიდა. მან „მილანის“ რიგებში 21-ჯერ ითამაშა. მართალია, ძირითადად შეცვლებაზე შედიოდა და დიდი სათამაშო დრო არ ეძლეოდა, მაგრამ „შავ-წითლები“ გურკუფზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ვარაუდობდნენ, რომ „მილანი“ გურკუფს რომელიმე კლუბში გაანათხოვრებდა, რათა მას სათამაშო პრაქტიკა არ მოჰკლებოდა, თუმცა, ახლა ეს არარეალური ჩანს, რადგან „როსონერის“ სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ უაქტიურია და ალბათ გურკუფი თავად დასჭირდება.

„შავ-წითლების“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც თქვა, ისეთი არავინ გვინდა მოვიყვანოთ, იოანი რომ დაჩაგროსო.

კიდევ ერთი მილანური ამბავი მეკარე მარკო სტორარის ეხება. იმავ გალიანიმ თქვა, იგი გუნდს დატოვებსო.

გავრცელებული ცნობით ექსმესინელი, შესაძლოა, „ბეტისში“ გაანათხოვრონ. სევილიურ კლუბს ინტერელ ფრანჩესკო ტოლდოსთან ჯერჯერობით არაფერი გამოსდის და ახლა სტორარიზე გადართულა.

**კოკი კანდელაკი**


იოან გურკუფი

# ლაციოს ვიერი გაახსენდა

**კრისტიან ვიერი,** შესაძლოა, „ლაციოში“ დაბრუნდეს. ეს ინფორმაცია „კორიერე დელო სპორტმა“ გაავრცელა.

ბობო, რომელიც ხუთშაბათს 34 წლის გახდება, ბერგამოს „ატალანტადან“ წამოსვლის შემდეგ თავისუფალი აგენტია. წინა სეზონში ტრავმის გამო მას ძალიან დიდი დრო გაუცდა, მაგრამ ვეტერანი ფორვარდი შემართებით აგრძელებს ვარჯიშს და არცთუ ურიგო ფორმაშია.



„ბიანკოჩელესტის“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ თქვა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, სულ ცოტა, ერთ თავდამსხმელსა და ერთ ნახევარმცველს დავიმატებთო. იტალიური პრესის ცნობით, ლოტიტო სერიოზულად განიხილავს ვიერის კანდიდატურას — „ლაციო“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და გამოცდილი ცენტრფორვარდი რომაელებს ნამდვილად არ აწყენდათ.

შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა კლუბებში ხეტიალის მოყვარული ვიერი „ლაციოში“ 1998 წელს მადრიდის „ატლეტიკოდან“ გადავიდა. მან „სტადიო ოლიმპიკოზე“ ერთი სეზონი გაატარა და დაახლოებით 49 მილიონ ევროდ „ინტერს“ მიაშურა. მაშინ ეს მსოფლიოს სარეკორდო ტრანსფერი გახლდათ.

ახლა ბობოს ფასი და ხელფასი გაცილებით ნაკლებია, მაგრამ ვიერი მაინც ვიერია...

**კოკი კანდელაკი**

# თუ ფული გაქვს შენი ვარ
## კამორანეზი არის, ნედველი იქნება

**მაურო კამორანეზიმ** „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე გააზანგრძლივა. იგი და მისი აგენტი დიდი ხანი წუწუნებდნენ, კლუბს ხელფასის მომატება არ უნდა და ასე ვერ მოვრიგდებითო, მაგრამ ბოლო-ბოლო მხარეებმა საერთო ენა იპოვეს.

30 წლის ნახევარმცველი ძალიან გახარებულია და ახლა კლუბთან ერთად მოსამზადებელ პერიოდს გაივლის. იგი სეზონში დაახლოებით 2,9 მილიონ ევროს მიიღებს.

ახლა პაველ ნედვედისა და ალესანდრო დელ პიეროს ჯერია. თუმცა დღის წესრიგში ჯერ ჩეხის კონტრაქტი დგას, რომელიც ასევე ხელფასის მომატებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „იუვედან“ კი არა, შეიძლება, საერთოდ, ფეხბურთიდან წავიდეო.

გავრცელებული ცნობით, ნედვედი ხელფასზე „ინტერისგან“ მიღებულმა მიმზიდველმა წინადადებამ აალაპარაკა. მას „ბიანკონერისთან“ კონტრაქტი წინა კვირაში დაუმთავრდა და რომ მოინდომოს, „ნეროაძურიში“ თავისუფლად გადავა. თუმცა ამბობენ, ტურინელები ხელფასის გაზრდას დაჰყაბულდნენ და ნედვედიც სიამოვნებით გააფორმებს ახალ, ერთწლიან კონტრაქტსო. როგორც ჩანს, ეს ოფიციალურად დღეს ან ხვალ დადასტურდება.

„ბებერი ქალბატონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჟანკლოდ ბლანმა განაცხადა — მჯერა, ნედვედთან ახალ კონტრაქტს გავაფორმებთო. მან ისიც თქვა, ჩვენი ტრანსფერები ჟორჟე ანდრადეთი არ დასრულებულაო.

„კიდევ ერთხელ ვილაპარაკეთ. ორივე მხარისთვის მისაღებ წინადადებამდე მისვლას მაქსიმალურად ვცდილობთ. ეს ყველა სხვა შემთხვევაში შევძელით და არა მგონია, ნედვედი გამონაკლისი გახდეს. უკვე თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია. რაც შეეხება ჟორჟე ანდრადეს, მან გაიარა სამედიცინო შემოწმება, მაგრამ რამდენიმე დეტალი ჯერ კიდევ შესათანხმებელია და იქამდე ანდრადეს ოფიციალურად „იუვენტუსის“ ფეხბურთელს ვერ ვუწოდებთ. დასრულდა თუ არა ჩვენი ტრანსფერები მისი მოსვლით? არა. სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება და იქამდე ბაზარზე თვალი გვეჭირება“ — აღნიშნა ბლანმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ძამპანა შარშია

**ბერგამოს** „ატალანტას“ ფორვარდი რიკარდო ძამპანა შარში გაეხვია. 32 წლის ფეხბურთელი თავის მოპედს მთვრალი მართავდა, როცა ბოლივიელ ქალბატონს დაეჯახა.

ძამპანა „ფესტა დელა დეადან“, ანუ „ატალანტას“ ფანების, „კურვა ნორდის“ მიერ ორგანიზებული წვეულებიდან ბრუნდებოდა, როცა ერთ-ერთ ქუჩაზე მოხვევისას ეს ავარია მოუვიდა.

ბოლივიელმა ქალბატონმა მხოლოდ მცირე დაზიანებები მიიღო და არაფერი ისეთი არ მოხდებოდა, ძამპანას სისხლში ალკოჰოლის გადაჭარბებული რაოდენობა რომ არ აღმოეჩინათ.

ვეტერან თავდამსხმელს ახლა სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგენა და დაისჯება კიდეც. მიიღებს თუ არა რაიმე ზომებს თავისი ფეხბურთელის წინააღმდეგ „ატალანტა“, ჯერ უცნობია.

**კოკი კანდელაკი**

## შვედისთვის ლონდონში

**„ფიორენტინას“** სპორტული დირექტორი პანტალეო კორვინო ლონდონში ჩავიდა და „არსენალიდან“ ფრედერიკ ლიუნგბერგის შეძენას ცდილობს.

„იები“ შვედ ნახევარმცველს ოთხწლიან კონტრაქტს და წელიწადში მილიონ 500 ათას გირვანქას სთავაზობენ.

გარდა ამისა, „ფიორემ“ განაცხადა, რომ ფაბიო ლივერანი, რომლის წასვლაზეც ლაპარაკობდნენ, კლუბში რჩება.

## ლივერპულმა ჩაქუჩი იყიდა

**„ლივერპული“** „ვესტ ჰემს“ იოსი ბენაიუნის ტრანსფერზე მოურიგდა. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა რონენ კატზავიმ განაცხადა.

ივნისიდან მოყოლებული, რაფაელ ბენიტესი 27 წლის ნახევარმცველის ყიდვას ლამობდა და ეს საქმე მოაგვარა.

„გარიგება ამ დღეებში ოფიციალურად გაფორმდება — თქვა აგენტმა — ბენაიუნის „ვესტ ჰემი“ უყვარს, მაგრამ „ლივერპულში“ გადასვლაზე უარს ვერ იტყოდა“.

## კეიტა კანუტთან

**„სევილიამ“** დაადასტურა, რომ „ლანსიდან“ მალელი ნახევარმცველი სეიდუ კეიტა იყიდა. 27 წლის ფეხბურთელი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ეს უკვე მესამე შენაძენია, „სევილიასი“, მორგან დე სანქტისისა და ტომ დე მულის შემდეგ.

კეიტა „ლანსში“ 2002 წელს „ლორიანიდან“ მივიდა, გასულ სეზონში კი 11 გოლი გაიტანა.

„სევილიაში“ მას თანამემამულე ფრედერიკ კანუტი დახვდება.

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილიტოს საშველი დაადგა

## სარაგოსა 17 მილიონზე დათანხმდა




**გაბრიელ მილიტო** ბარსელონელია!

თავიდან „სარაგოსა“ არგენტინელში 20 მილიონ ევროს იხდიდა, „ბარსა“ კი 18 მილიონს სთავაზობდა. შემდეგ დაინტერესებული მხარეები ერთმანეთს მრავალჯერ შეხვდნენ, მოითათბირეს და გადაწყვიტეს — კატალონიური ბანაკი „სარაგოსას“ ჯერ 17 მილიონ ევროს გადაუხდის, ხოლო შემდეგ გაბისთან ერთად ლა ლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში, 3,5 მილიონ ევროს დაუმატებს.

„მარშალი“ „კამპ ნოუზე“ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ითამაშებს და სეზონში 4 მილიონ ევროს ჩაიჯიბავს.

გაბი მილიტო თავის დროზე თითქოს მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ „სამეფო გუნდის“ ექიმებმა დაიწუნეს, სუსტი მუხლი გაქვსო. მერე მილიტომ „სარაგოსაში“ გაითქვა სახელი და ქომაგებმა „რკინისმუხლიანი“ შეარქვეს, რაც „რეალის“ სამედიცინო შტაბის შეცდომას ამტკიცებს.

„უდიდესი მადლობა მილიტოს იმ ოთხი შესანიშნავი სეზონისთვის, რაც მან ჩვენს კლუბში გაატარა“ — ნათქვამია „სარაგოსას“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

„მარშალი“ „ბარსელონაში“ გადავიდა. ამიერიდან იგი დაცვის ცენტრში კარლეს პუიოლის მეწყვილე იქნება.

**ლადო ხომერიკი**




# რონალდინიოს მილანთან წინასწარი კონტრაქტი აქვს?!

## ბერლუსკონი 125 მილიონით უტევს

**„ბლიც-კრიგი** რონალდინიოზე“ — დაწერეს გუშინ იტალიურმა გაზეთებმა.

„მილანი“ „ბარსელონაზე“ გენერალური შეტევისთვის ემზადება. აპენინური კლუბის პატრონმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ „როსონერი“ „კიჭას“ „ბარსასთან“ კონტრაქტის ანულირებისთვის გათვალისწინებულ თანხას, 125 მილიონ ევროს გადაიხდის, რათა ოცნების ფეხბურთელი ერთხელ და სამუდამოდ ჩაიგდოს ხელში.

მოგახსენებთ, რომ „მილანს“ „ჩელსიდან“ ანდრეი შევჩენკოს გამოსასყიდად 45 მილიონი ევრო ჰქონდა გადანახული — უკრაინელს ჟოზე მაურინიუს შეგირდობა ყელში ამოუვიდა და პორტუგალიელთან ერთი დღითაც არ აპირებს დარჩენას. ოღონდ „შევას“ არც ის უნდა, „მილანი“ რომ ზედმეტად დაიხარჯოს და თავის მეგობარს, რომან აბრამოვიჩს სთხოვს, ერთი სეზონით გაუშვას „სან სიროზე“.

ანუ რა გამოვიდა — თუ შევჩენკო „მილანში“ იჯარით მიდის, მისთვის გამიზნული 45 მილიონი ევრო რონალდინიოს ტრანსფერში ჩაერთვება. ამას დავუმატოთ 80 მილიონი ევრო, რომელსაც ბრაზილიელში სთავაზობდნენ „ბარსას“ (კატალონიელებმა მაშინ ცივი უარი თქვეს) და ნათელი ხდება, რომ 125 მილიონი ევროს გადახდა „მილანს“ არ გაუჭირდება. ეს კი ის თანხაა, რომლის გადახდის შემთხვევაში, კიჭას ბარსელონური კონტრაქტი ოფიციალურად უქმდება...

მადრიდული გაზეთები კი უფრო შორს წავიდნენ და ქვეყანას ამცნეს — რონალდინიოს „მილანთან“ უკვე ერთი წელია, წინასწარი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და გაისად ბრაზილიელი იტალიაში ითამაშებსო. „ასის“ ვერსიით, რონი 5 სეზონით გადავა „სან სიროზე“ და ხელფასად, წლიურად 8,5 მილიონ ევროს მიიღებს...

**ლადო ხომერიკი**

# ვილაცა აურევს...

## კრუიფმა თავისი თქვა

**მიუხედავად** იმისა, რომ „მფრინავი ჰოლანდიელი“ „ბარსელონასთან“ ოფიციალურად აღარ თანამშრომლობს, მაინც ყველამ იცის, იოჰან კრუიფი კატალონიური გუნდისთვის დღესაც რა „გურუს“ წარმოადგენს. დიდი იოჰანი „ბარსას“ პრეზიდენტის უმთავრესი მრჩეველია და როცა საქმეს დასჭირდება, სენიორ ხუან ლაპორტა დახმარებისთვის სხვაზე ადრე სწორედ კრუიფს მიაკითხავს ხოლმე.

ჰოდა, ამ დიდმა კაცმა გუშინ მედიასთან შეხვედრისას ორჭოფულად აღნიშნა, გაისად „ბარსელონაში“ რონალდინიოს, ეტოოს, მესისა და ანრის ერთად თამაში ნაკლებად წარმომიდგენიაო...




რონალდინიოზე „მილანი“ ნადირობს, ეტოოზე კი „ჩელსი“, ხოლო ამასობაში კრუიფი აცხადებს: „ძალიან რთული ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს ფრანკ რაიკარდს მომავალ სეზონში. რონალდინიო, ეტოო, მესი და ანრი ერთად? არ ვიცი, ეს როგორ მოხდება. რა თქმა უნდა, ყველაფერი გასათვალისწინებელია, ანუ გააჩნია, როგორ თამაშობ, ტაბლოზე რა შედეგია და რამდენი დროა თამაშის დამთავრებამდე დარჩენილი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ ოთხეულიდან ერთი ზედმეტია“.

„მფრინავმა ჰოლანდიელმა“ ისიც აღნიშნა, „ბარსას“ სტრუქტურას აღარ მიეკუთვნები, თუმცა იქ ბევრი მეგობარი მყავს და თუ უნდათ, რჩევისთვის ნებისმიერ დროს მომმართონ, მათ ყოველთვის დავეხმარებიო.

„განა არ შემიძლია, კლუბის მმართველობაში დაბრუნება, მაგრამ ამის არანაირი სურვილი არ მაქვს“ — დასძენს კრუიფი.

**ლადო ხომერიკი**

# მეცელდერი მადრიდს ესპანურად დაენახვა

## აი, მცველი, აი, ფეხბურთელი!




**კრისტოფ მეცელდერი** რომ „რეალის“ ფეხბურთელია, უკვე იცით.

გუშინ „დორტმუნდის“ ექსკაპიტანი ოფიციალურად წარადგინეს მადრიდულ „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

„ჩემთვის ეს დიდი ბედნიერებაა“ — აღნიშნა გერმანელმა და, სხვათა შორის, სიტყვა „ბედნიერება“ ესპანურად წარმოთქვა, კრისტოფის „ფელისიდად“ მადრიდელებს ძალიან მოეწონათ...

მეცელდერს „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა პრეზენტაციაზე „თანამედროვე საფეხბურთო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გონივრულად მოთამაშე და სოლიდური ცენტრალური მცველი უწოდა“.

მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა კი ესპანელთა თანდასწრებით თანამემამულეს მშობლიურ ენაზე მიმართა და „რეალში“ კარიერის დაწყება გერმანულად მიულოცა.

სამეფო თეთრების ახალწვეულმაც სუფთა კასტილიური აქცენტით თქვა — HALA MADRID, რაც ესპანურ გრანდთან მისალმებასა და პატივისცემას ნიშნავს...

აწ უკვე „რეალის“ უკანახაზელმა კარიერა მშობლიური ქალაქის გუნდ „ჰალტენში“ დაიწყო, შემდეგ ითამაშა „შალკესა“ და დორტმუნდის „ბორუსიაში“. ამ გუნდთან ერთად 2002-ში ბუნდესლიგის ჩემპიონობა მოიგო. 2003 წელს მიღებულმა მძიმე ტრავმამ კი კრისტოფი ბურთს და მოედანს კარგა ხნით ჩამოაშორა.

ბერნდ შუსტერის შეგირდის დებიუტი გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში 2001 წლის 15 აგვისტოს შედგა, როცა ალემანებმა უნგრეთს 5:2 მოუგეს.

მეცელდერს ბუნდესნაკრების მაისურით ორ მუნდიალზე უთამაშია — 2002-ში ვერცხლის, ხოლო 2006-ში ბრინჯაოს მედლის მფლობელი შეიქნა.

მეცელდერი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სამი სეზონის განმავლობაში ითამაშებს.

**ლადო ხომერიკი**

## აკოსტა: მე თვითონ

**ჩილეს** მწვრთნელი ნელსონ აკოსტა გადადგა. მას ნაკრებში აღარ დაედგომებოდა, რადგან ბრაზილიასთან „კოპა ამერიკას“ მეოთხედფინალში 1:6 წააგო, მანამდე კი ჯგუფში 0:3 დამარცხდა.

„წასვლა მე თვითონ გადავწყვიტე და არანაირი დაძალება ფედერაციის მხრიდან არ ყოფილა“ — თქვა აკოსტამ, რომელიც მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზეც თავკაცობდა ჩილეს, მერვედფინალშიც გაიყვანა და იქაც ბრაზილიამ მოუგო.

## კაპიტანი გაგრძელდა

**„ლაციოს“** კაპიტანმა ლუჩანო ძაურიმ კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა. მას კაპიტნის სამკლავური იანვარში ერგო, როცა მასიმო ოდო „მილანში“ გადავიდა.

ძაურის კარიერა ბერგამოს „ატალანტაში“ დაიწყო, სადაც შვიდი წელი გაატარა და ერთი სეზონი „კიევოში“ იყო განათხოვრებული. 2003-დან „ლაციოშია“ და 114 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

## ჯენოელი პაპა

**სერია A-ში** დაბრუნებულმა „ჯენოამ“ „პალერმოდან“ ჩეზარე ბოვოს კონტრაქტი ნაწილობრივ იყიდა. უცნობია, თუ რამდენი გადაიხადეს 24 წლის ფეხბურთელში.

გასული სეზონის ნახევარი ბოვომ „ტორინოში“ გაატარა, „ჯენოასთან“ კი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მას „რომაში“, „პარმაში“ და „ლეჩეშიც“ უთამაშია.

ბოვოს გარდა, გენუელებმა სენეგალელი ფორვარდი ნდიაიე პაპა ვიაგოც შეიძინეს.

## დონი დარჩება

**კრისტიანო დონიმ** „რომაში“ გადასვლა იუარა და „ატალანტაში“ დარჩება. 34 წლის ფორვარდი შარშან დაბრუნდა „მალიორკადან“ ბერგამოულ კლუბში და 13 გოლი გაიტანა. „რომას“ უნდოდა მისი გადაბირება, მაგრამ აგენტმა პაოლო კონტიმ განაცხადა: „რომაელებისგან კონკრეტული წინადადება არ მიგვიღია, თუმც მათი დაინტერესების შესახებ ვიცოდით. დონი „ატალანტაში“ დარჩება და ალბათ კონტრაქტსაც გაახანგრძლივებს, რომელიც 2008-ში ეწურება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღეს სავიოლას რეალი შეამოწმებს



**ხავიერ სავიოლა** პარასკევს ოფიციალურად გახდება მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ექსბარსელონელს 14 ივლისს, ესპანეთის დროით 12 საათზე „სანტიაგო ბერნაბეუზე" პრეზენტაციას მოუწყობენ. ეს ამ კვირაში „რეალის" მეოთხე შენაძენი იქნება მწვრთნელ ბერნდ შუსტერის, კრისტოფ მეცელდერის და პორტუგალიელი პეპეს შემდეგ.

„ბაჭია" სამეფო თეთრების ახალი დამრიგებლის ფავორიტია და გერმანელმაც რამდენიმე ხნით ადრე სთხოვა გუნდის უფროსობას არგენტინელის შეძენა, ვიდრე „რეალის" მწვრთნელი გახდებოდა. შუსტერის მითითებით მადრიდელთა სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი საქმეში ნაყოფიერად ჩაება და სავიოლასაც ბევრი ყოყმანი აღარ დაუწყია.

ხავიერის შეძენას „სარაგოსა" და „ვილიარეალიც" აპირებდნენ, თუმცა „ბარსას" ყოფილმა თავდამსხმელმა მადრიდის „რეალი" აირჩია.

ფეხბურთელი კასტილიურ გრანდთან ოთხსეზონიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს და წლიურ ჯამაგირად ორმილიონნახევარ ევროს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ „ბაჭია" „ბერნაბეუზე" თამაშის ხათრით ხელფასის შემცირებას დათანხმდა — „ბარსელონაში" მისი წლიური ჯამაგირი 3,5 მილიონი ევრო იყო.

„სავიოლა „რეალში" ითამაშებს. მივესალმები გუნდში მის მოყვანას. არგენტინელი გამარჯვების წყურვილით მოდის. სავიოლა ჯერაც ახალგაზრდაა, საგოლე ალღო აქვს და შეუძლია, დიდი დახმარება გაგვიწიოს. იგი არგენტინის ნაკრების შეუცვლელი წევრია" — განუცხადა გერმანელმა სპეციალისტმა „პუნტო რადიოს".

ცხადია, ყველას კარგად ახსოვს, რომ ხავიერ სავიოლა თავის დროზე „ბარსელონას" ფანების ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი იყო. ამის გამო „რეალის" ინჩასთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ეჭვობენ, რომ „ბაჭია" „რეალის" ერთგული ვერ იქნება, თუმც ბერნდ შუსტერი მომავალი შეგირდის კატალონიურ წარსულს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს: „ცალკეულ უმნიშვნელო დეტალებს ყურადღებას ნუ მივაქცევთ. შეიძლება ითქვას, რომ ხავიერის ოდინდელი ბარსელონელობა ჩვენთვის ახლა დადებით როლს ასრულებს. პრესა და გულშემატკივრები მის მადრიდულ ტრანსფერს უდიდესი ინტერესით შეხვდებიან".

„ბერნარდო" დროს არ კარგავს და სოლდადოს დაბრუნებაზეც ზრუნავს. სამომავლოდ სწორედ რუუდ ვან ნისტელროოი, სავიოლა და ეს ესპანელი ფორვარდი წარუძღვებიან „სამეფო გუნდს" შეტევაში.

„ბაჭია" კი, სანამ მისი მადრიდული ტრანსფერის დეტალები გადაწყდება, ბალეარის კუნძულებზე ისვენებს. დღეს ლა მორალეხას კლინიკაში იგი უკვე სამედიცინო შემოწმებას გაივლის...

**ლადო ხოშერიძე**

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 16:00 | 52 | ამკარი-სპარტაკი მ | 3.80 | 3.10 | 1.85 | 1.70 | 1.24 | 1.15 |
| 14:00 | 53 | ცსკა მ-დინამო მ | 2.00 | 3.10 | 3.25 | 1.21 | 1.23 | 1.58 |
| 12:00 | 54 | ენერგია-სატურნი | 2.10 | 2.70 | 3.45 | 1.18 | 1.30 | 1.51 |
| 20:00 | 55 | ყუბანი-ხიმკი | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 16:30 | 56 | კრილია-ნალჩიკი | 1.55 | 3.00 | 6.00 | 1.02 | 1.23 | 2.00 |
| 14:00 | 57 | ტომსკი-მოსკოვი | 2.35 | 2.80 | 2.90 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| 19:00 | 58 | ზენიტი-როსტოვი | 1.25 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.85 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 22 | ელფსბორგი-აიკ | 1.70 | 3.20 | 4.20 | 1.11 | 1.21 | 1.81 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 46 | ჩიკაგო-ჰიუსტონი | 2.40 | 3.00 | 2.50 | 1.33 | 1.22 | 1.36 |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 47 | ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 48 | ვაშინგტონი-დალასი | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 49 | კანზასი-სოლტ ლეიკი | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 23:45 | 50 | ჩივასი-კოლამბუსი | 1.90 | 3.20 | 3.10 | 1.19 | 1.17 | 1.57 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 51 | ჰიუსტონი-ტორონტო | 1.45 | 3.40 | 5.80 | 1.01 | 1.15 | 2.14 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 59 | ჟუვენტუდი-ნაუტიკო | 1.40 | 3.60 | 5.80 | 1.00 | 1.12 | 2.22 |
| 23:45 | 60 | პარანა-ფიგეირენსე | 1.70 | 3.20 | 3.60 | 1.11 | 1.15 | 1.69 |
| 23:45 | 61 | ვასკუ და გამა-ატლეტიკო პრ | 1.90 | 3.10 | 3.30 | 1.17 | 1.20 | 1.59 |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 62 | სანტოსი-ბოტაფოგო | 2.30 | 3.10 | 2.55 | 1.32 | 1.20 | 1.39 |
| 23:00 | 63 | სპორტ რისაიფი-ატლეტიკო მნ | 2.05 | 3.20 | 2.90 | 1.24 | 1.20 | 1.52 |
| 23:00 | 64 | გრემიო-პალმეირასი | 1.75 | 3.20 | 3.85 | 1.13 | 1.20 | 1.74 |
| 23:45 | 65 | ამერიკა-ინტერნასიონალი | 2.50 | 3.20 | 2.30 | 1.40 | 1.19 | 1.33 |
| 23:45 | 66 | კორინთიანსი-სან პაულუ | 2.15 | 3.20 | 2.70 | 1.28 | 1.19 | 1.46 |
| 23:45 | 67 | კრუზეირო-გოიასი | 2.20 | 3.20 | 2.60 | 1.30 | 1.19 | 1.43 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი(20)კანადა | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 104 | ზამბია 20-ნიგერია 20 | 3.75 | 3.20 | 1.70 | 1.72 | 1.16 | 1.11 |
| 23:45 | 105 | არგენტინა 20-პოლონეთი 20 | 1.25 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.07 | 2.69 |
| 23:45 | 106 | მექსიკა 20-კონგო 20 | 1.30 | 3.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.33 |
| 23:45 | 107 | ჩილე 20-პორტუგალია 20 | 2.40 | 3.10 | 2.40 | 1.35 | 1.20 | 1.35 |
| | | აზიის თასი 2007 | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 79 | ტაილანდი-ომანი (ტაილანდი) | 3.20 | 2.80 | 2.10 | 1.49 | 1.26 | 1.20 |
| 16:30 | 80 | ვიეტნამი-ყატარი(ვიეტნამი) | 2.90 | 2.80 | 2.10 | 1.42 | 1.21 | 1.20 |
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 81 | ერაყი-ავსტრალია (ტაილანდი) | 6.50 | 3.60 | 1.35 | 2.31 | 1.11 | 1.00 |
| 16:30 | 82 | საამიროები-იაპონია(ვიეტნამი) | 6.00 | 3.50 | 1.40 | 2.21 | 1.13 | 1.00 |
| | | ამხანაგური მატჩი | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 132 | სტ.პატრიკსი-ტოტენჰემი | 6.00 | 3.60 | 1.35 | 2.25 | 1.10 | 1.00 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | თასი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 13:30 | 91 | ტოკიო-იოკოჰამა ფმ | 2.10 | 3.20 | 2.80 | 1.26 | 1.20 | 1.49 |
| 14:00 | 92 | გამბა-ურავა | 1.80 | 3.20 | 3.30 | 1.15 | 1.16 | 1.62 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 13:30 | 93 | კაშიმა-ჰიროსიმა | 1.70 | 3.30 | 3.90 | 1.12 | 1.18 | 1.78 |
| 14:00 | 94 | კავასაკი-კოფუ | 1.50 | 3.40 | 4.70 | 1.04 | 1.13 | 1.97 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ძიუდო

# ტატამი მტრის ზურგში

## შოთა ხაბარელმა უცხოელებისთვის დამალული ქართულად გაამხილა



ქართველი ძიუდოისტები სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი მინსკური შეკრებიდან დაბრუნდნენ. ბელარუსში ათი დღის განმავლობაში პლანეტის ლამის ყველა უძლიერესი კიმონოსანი გავიდა ტატამზე. ერთობლივ წვრთნებში ძიუდოს წამყვანმა ნაკრებებმა გაფართოებული შემადგენლობები ავარჯიშეს. ქართული გუნდის თავკაცმა შოთა ხაბარელმაც თევსმეტი შეგირდი იახლა თან. რიო დე ჟანეიროს ცხელი შემოდგომისთვის სამზადისსა და მინსკურ ამბებზე ხაბარელმა გუშინ მოგვითხრო

— ბელარუსის შეკრებაზე ტრადიციულად ძიუდოს საუკეთესო კრებული იყრის ხოლმე თავს. ახლაც ასე იყო მინსკში ფაქტობრივად ყველა წამყვანი ნაკრები ჩამოვიდა, თან უძლიერესი ძიუდოისტებით.

**— სულ რამდენი გუნდი მოგროვდა?**

— 29 ქვეყნის ნაკრები და რაც მთავარია, ყველა გაფართოებული შემადგენლობებით, მარტო ის რად ღირს, რომ იაპონელებმა 35 კაცი ჩამოიყვანეს. მათ ვარსკლავთკრებულს მხოლოდ ტადაჰირო ნომურა აკლდა, თუმცა დიდი შანსია, ოლიმპიურ ჩემპიონს ძირითად შემადგენლობაში აღარც მოიაზრებდნენ.

**— ვარჯიშებისას არ გამოიკვეთა, მთავარი კონკურენტები ვის ამზადებენ მსოფლიოსთვის?**

— რამდენიმე შემადგენლობით იმიტომაც ჩამოვიდნენ, ძირითადი შვიდეულები კონკურენტებისთვის რომ არ გაენდოთ. არც ჩვენი საბრაზილიო გუნდის შესახებ გაუგიათ რამე

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელები უკვე დაასახელეთ?**

— არ გამომიცხადებია, მაგრამ გასარკვევი ორი წონალა რჩება — 81 კილოგრამი და აბსოლუტური.

**— ამ წონებში როდისლა მიიღებთ გადაწყვეტილებას?**

— ერთ თვეში. 11-12 აგვისტოს გერმანიაში ვაპირებთ საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლას და შიდა კონკურენციაში საუკეთესოებიც მაშინ გამოვლინდებიან.

**— გერმანიაში ვის აჭიდავებთ?**

— 81-ში სამ კაცს წავიყვანთ, დანარჩენ წონებში კი მხოლოდ თითოს. მძიმე წონაში ტატამზე ზვიად ხანჯალიაშვილი გავა. ხოლო ადამ ოქრუაშვილი პარალელურად მიმდინარე მსოფლიოს უნივერსიადაზე იჭიდავებს. ამათგან საუკეთესოს რიო დე ჟანეიროში, აბსოლუტურ წონაში დავაყენებთ. მძიმეში კი ლაშა გუჯეჯიანი გამოვა.

**— ბარემ სხვა წონების ლიდერებიც გავიხსენოთ.**

— 60 კილოგრამი — ნესტორ ხერგიანი, 66 — ზაზა კედელაშვილი, 73 — დავით ქევხიშვილი, 90 — ირაკლი ცირეკიძე, 100 — ლომერ ჟორჟოლიანი.

**— ვიცით, რომ ბელარუსის შეკრებაზე გუნდი ტრავმირებული ზურაბ ზვიადაურის გარეშე ჩავიდა. ახლა როგორაა?**

— სამწუხაროდ, წელის ტრავმა ჯერაც სერიოზულად აწუხებს და ვარჯიშში ხელს უშლის. ზვიადაური მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაუბრუნდება ტატამს.

**— გრიგოლ მამრიკიშვილზე რას იტყვით? ისიც დიდი ხანია აღარ გამოჩენილა ნაკრებში...**

— მამრიკიშვილმა მძიმე ტრავმა უკვე გადაიტანა. სავარჯიშო ციკლშიც ჩაერთო. მინსკის შეკრებაზე გუნდთან ერთად იყო და საკმაოდ კარგადაც აული სამზადისს ალლო, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვე გაუცდა.

**— სხვებს ხომ არ აწუხებთ თუნდაც მცირე ტრავმები?**

— გუშინდელ ვარჯიშზე ნესტორ ხერგიანმა ფეხი იტკინა. ერთი შეხედვით, სერიოზული ტრავმა გვეგონა, მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს გამოჩნდა, რომ საშიში არაფერია. დანარჩენები მწყობრში არიან.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე რამდენ შეკრებას გეგმავთ?**

— ახლო მომავალში ბაკურიანში გავემგზავრებით საერთო ფიზმომზადების გასაუმჯობესებლად. მერე ბორჯომში სრული დატვირთვით ვივარჯიშებთ. დასკვნით ათდღიან შეკრებას კი ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქში, რიო დე ჟანეიროში გავივლით.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი

# სანამ დიდები უქმობდნენ, რუსები მარცხიანობდნენ

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| გშტაადი. თიხნარი. საპრიზო 421 250 ევრო | |
| **პირველი წრე** | |

**გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი), 3:6 6:4 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — მიშელ კრატოჩვილი (შვეიცარია) 6:2 6:3; **პოლ-ანრი მატიო** (5, საფრანგეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 7:6 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (4, გერმანია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 7:6 7:6; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 7:5 6:3; **ვერნერ ეშაუერი** (ავსტრია) — მიხაელ ლამერი (შვეიცარია) 6:2 4:6 6:2; **მარკ ჟიკელი** (6, საფრანგეთი) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 6:3 7:6; **პოტიტო სტარაჩე** (8, იტალია) — იან ჰაეკი (ჩეხეთი) 7:6 6:1; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 3:6 6:3 6:4; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4 6:7 6:4; **რიშარ გასკე** (3, საფრანგეთი) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:3 6:4; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — მიხაილ იუჟნი (2, რუსეთი) 6:4 6:3

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| ბასტადი. თიხნარი. საპრიზო 353 450 ევრო | |
| **პირველი წრე** | |

**ლუის ჰორნა** (პერუ) — ტომი რობრედო (1, ესპანეთი) 6:1 1:6 6:1; **კარლოს ბერლოკი** (არგენტინა) — ტიმ ერანსონი (შვედეთი) 6:2 6:0; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ფილიპ პრპიჩი (შვედეთი) 6:1 3:6 6:1; **იონას ბიორკმანი** (8, შვედეთი) — მიხაილ პრჟიზიეჩი (პოლონეთი) 5:7 6:2 6:4; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — ივან ნავარო პასტორი (ესპანეთი) 6:2 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:4 6:4; **რობინ სოდერლინგი** (6, შვედეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:3 6:3; **ფილიპო ვოლანდრი** (5, იტალია) — ფედერიკო ლუცი (იტალია) 4:6 7:5 6:1; **იური შუკინი** (რუსეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:1 1:6 7:5; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — იარკო ნიემინენი (3, ფინეთი) 6:4 6:2; **ხუან მონაკო** (7, არგენტინა) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 7:6 3:6 6:4; **დავიდ ფერერი** (2, ესპანეთი) — გილერმო გარსია ლოპესი (ესპანეთი) 6:2 6:1

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| ნიუპორტი. ბალახი. საპრიზო 416 000 დოლარი | |
| **პირველი წრე** | |

**აისამ ულ-ჰაქ ქურეში** (პაკისტანი) — მარდი ფიში (1, აშშ) 6:3 6:4; **მიხაელ ბერერი** (6, გერმანია) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 6:4 7:6; **მიხაილ ზვერევი** (გერმანია) — იგორ კუნიცინი (7, რუსეთი) 6:1 2:6 6:1; **დანაი უდომჩოკე** (ტაილანდი) — ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტანეთი) 6:3 3:6 6:0; **როკო კარანუსიჩი** (ხორვატია) — თეიმურაზ გაბაშვილი (6, რუსეთი) 6:4 6:3; **ვინსენტ სპადეა** (2, აშშ) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4 6:3

**უიმბლდონის** დამთავრების შემდეგ საჩოგბურთო სამყაროში სიმშვიდემ დაისადგურა. მომავალ რამდენიმე კვირაში საშუალო დონის ტურნირებისა და ჩელენჯერების მეტი არაფერი გაიმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბობოლათა უმეტესობა უქმად იქნება — ამ დროს ისინი დასასვენებლად და დიდი ტურნირებისთვის მოსამზადებლად იყენებენ. სამაგიეროდ, ამ პერიოდში რეიტინგის შუაწელზე ყურყუტისთვის გახაზირებული მეჩოგნეები ხარობენ, რომლებიც ბობოლათა არყოფნაში ცდილობენ საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებას. ასე რომ, უახლოეს პერიოდში მეჩოგნეები საბოლოოდ ჩაამთავრებენ სათიხნარო სეზონს, რის შემდეგაც ისევ ჰარდის დრო დადგება და საჩოგბურთო ეპიცენტრი ოკეანგაღმეთში გადაინაცვლებს, სადაც ჯერ ზედიზედ ორი მასტერსი გაიმართება, მერე წლის უკანასკნელი სლემტურნირი, აშშ-ს ღია პირველობა მოჰყვება.

ამ კვირაში კაცი მეჩოგნეები მსოფლიოს სამ სხვადასხვა კუთხეში გადანაწილებულან, სადაც საკმაოდ ღირებული ტურნირები მიმდინარეობს. აი, ქალთა უმეტესობა კი უახლოეს დღეებში იძულებით ისვენებს — ამ უქმეებზე ფედერაციის თასის ნახევარფინალებია დაგეგმილი, რის გამოც უახლოეს დღეებში მხოლოდ შემორჩენილი ოთხი ნაკრების წევრებს მოუწევთ კორტზე გასვლა.

ჩვენ კაცთა ტურნირებს მივხედოთ და შვეიცარიულ გშტაადში მიმდინარე მოვლენებით დავიწყოთ, სადაც ლონდონური ამინდი მეფობს — წვიმების გამო ალპებში ბევრი მატჩი გაცდა და მხოლოდ პირველი წრის ჩამთავრება თუ მოხერხდა. ისე, შვეიცარიული კლიმატი ყველაზე ცუდად რუსებმა აითვისეს, რადგან გშტაადი პირველივე მატჩების შემდეგ დატოვეს ტურნირის პირველ-მეორე ნომრებმა — ნიკოლაი დავიდენკომ და მიხაილ იუჟნიმ.

დავიდენკო ძალიან მძიმე ბრძოლაში გაელ მონფილზმა წააქცია — ისე, ფრანგს წვიმა მაგრად მიეხმარა, რადგან იძულებითი შესვენების შემდეგ კორტზე დაბრუნებულ კოლიას კარგა ხანი დასჭირდა საჭირო ტემპის დასაჭერად. სანამ ეს მოახერხა, ახალგაზრდა ფრანგმა მატჩის სათავისოდ დამთავრება მოასწრო. ამით მონფილზმა ერთი კვირის წინ უიმბლდონის მესამე წრეში მარცხისთვის მცირე რევანში აიღო. აი, იუჟნი კი უფრო ადვილად გაილახა — ეს ამბავი შტეფან კუბეკმა იკისრა. გამოვარჩიოთ არც ისე შორეულ წარსულში თიხნარის ერთ-ერთ უბადლო სპეციალისტად მიჩნეული გასტონ გაუდიოს მარცხიც. 2004 წლის „როლან გაროსის“ ჩემპიონი წლეულს სულ წახდა და ამიტომ ვისაც არ ეზარება, ყველა უგებს. ამჯერად კრისტოფ ვლიგენმა არ იზარმაცა და არგენიტინელს კიდევ ერთხელ აჭამა დიდი სირცხვილი.

არ წაუვიდა ჩოგნაობა შვედურ ბასტადში მიმდინარე ტურნირის პირველ ნომერსაც — ტომი რობრედომ ძალიან უხეიროდ ითამაშა ლუის ჰორნასთან და ახლა მშობლიურ პირინეებზე მოუწევს დაბრუნება. ესპანელი მხოლოდ მეორე სეტში გამოიყურებოდა მისთვის საკადრის სიმაღლეზე და იქ 6:1 იმარჯვა, მაგრამ იგივე ანგარიშით დათმო პირველი და გადამწყვეტი პარტიები და წინ პერუელი გაატარა. არ გაუმართლა მესამე ნომრად მოთამაშე იარკო ნიემინენსაც, რომელსაც ქონდრისკაცა ოლივიე როხუსმა სწრაფი კომბინაციებით სულ აუბნია თავგზა.

სამაგიეროდ, მასპიძნელთა ფავორიტებმა იყოჩალეს — შემდეგ წრეში არიან რობინ სოდერლინგი და იონას ბიორკმანი. რობრედოს დაკარგვის მიუხედავად, სერიოზული წარმომადგენლობა შემორჩათ ესპანელბსაც, რადგან მეორე წრეს ადვილად უწიეს დავიდ ფერერმა და კარლოს მოიამ.

აი, ამერიკულ ნიუპორტში კი მეჩოგნეები ბალახზე არკვევენ ურთიერთობებს. პირველი ნომერი ვერც აქ გადაურჩა მარცხს — ეს უილბლო მასპინძელი მარდი ფიში აღმოჩნდა, რომელიც პაკისტანელმა აისამ ულ-ჰაქ-ქურეშმა ძალიან ადვილად დასცა.

არ გაუმართლათ ატლანტის ოკეანეგადალახულ რუსებსაც — პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ თეიმურაზ გაბაშვილი და იგორ კუნიცინი. პირველი ახალგაზრდა ხორვატმა როკო კარანუსიჩმა შეიწირა მაშინ, როცა კუნიცინს გერმანიის სახელით მოთამაშე თანამემამულე მიხაილ ზვერევმა გამოუყვანა წირვა.

**ქახა ლომჯაშვილი**


გაელ მონფილსი



ლიუ სიანი ყველას და ყველაფერს გადაახტა

# ვაჰ, დედას, თქვენსას, ყოვებო!
## ვის დარჩა ასაფა პაუელის სარბიელი?!

**მომცრო** შვეიცარიული ქალაქი ლოზანა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სათაო ოფისის გარდა მძლავრი სამძლეოსნო ტურნირითაც განთქმულია. ყველა ვარსკვლავი, როგორც ერთი ყოველ წელიწადს ჩადის იქ და სუპერ გრან პრიზე ეჯიბრება მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან ჩასულ მოწინააღმდეგეს.

შარშანდელი ტურნირი ძალიან ხმაურიანი გამოდგა, რადგან ჩინელმა ლიუ სიანმა 110 მეტრ თარჯრბენში 12,88 შედეგი აჩვენა და 0,04 წამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი. ის გარბენი ალბათ დიდხანს არ დაავიწყდებათ მხილველებს: ლიუ სიანი ამერიკელი დომინიკ არნოლდის მხარდამხარ თავგანწირვით მირბოდა და ფინიშის ხას იქით მასზე 0,02 წამით ადრე „შეყო“ თავი.

ლიუ სიანი ახლაც ყინჩად ჩავიდა ლოზანაში, ამბობდა, პარასკევს პარიზში ოქროს ლიგის ეტაპზე ჩაფლავება ჩემს საყვარელ სტადიონზე უნდა გამოვასწოროო (პარიზში 13,13 შედეგით მხოლოდ მესამე იყო), მაგრამ ჩინელ კალიას შვეიცარიის ფრანგულ კანტონში ისეთი ამინდი დახვდა, სუსხისგან გეგმებ და ფრთებშეკვეცილმა იმწამსვე ამოიგდო თავიდან ახალ რეკორდზე ფიქრი.

ციოდა, წვიმა ცრიდა და ხანდახან ქარიც წამოუბერავდა. ასეთ ტაროსში კი ვერავინ აჩვენა განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელი შედეგი, თუ არ ჩათვლით ამერიკელ სუპერსპრინტერ ტაისონ გაის, რომელმაც 200 მეტრი 19,78 წამში დაფარა და წლეულს უკვე მესამედ ჩამოსცდა 20-წამიან ზღვარს. გაი მოგვიანებით ამბობდა და მსმენელებიც კვერს უკრავდნენ, რომ უკეთეს ამინდში ეს უნიჭიერესი ბიჭი 19,6-წამიან ზღვარსაც ჩამოსცდება, რითაც საკუთარ თავს ჭეშმარიტად დიდ თარჯმორბენლებში ჩაწერს. ეს 19,60 წამი დაუძლეველ ზღვრად ექცა მისი თაობის ყველა ნიჭიერ მორბენალს და საზოგადოდაც კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ გაისა და მის თანამედროვეებზე წინ ერთადერთი კაცი მაიკლ ჯონსონი დგას ფანტასტიკური 19,32-წამიანი მსოფლიო რეკორდით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ლიუ სიანს, რომელმაც პარიზში შელახული ავტორიტეტი ლოზანაში უჟმური ამინდის მიუხედავადაც აღიდგინა. თავის რეკორდს ვერ შეუტია, სამაგიეროდ, 13,01 წამში დაფარა 110 მეტრი და დამაჯერებლად აჯობა მდევრებს. მეორე იყო ანვარ მური (13,12 წამი), შემდეგ არის მერიტი (13,18) და ჩამავალი ვარსკვლავი ალენ ჯონსონი (13,24). დომინიკ არნოლდს კი 13,26 შედეგით არცთუ საპატიო მეექვსე ადგილი ერგო.



ტაისონ გაი დიადობას უმიზნებს

ქალთა შორის 100 მეტრი თარჯრბენიც თავის ამქარში უკაშკაშესმა მნათობმა, ამერიკელმა მიშელ პერიმ მოიგო, რომელსაც უფრო დიდი კონკურენცია შეხვდა ევროპის ჩემპიონ სუზანა კალურისგან, ვიდრე ლიუ სიანს თავის მდევრებისგან. პერიმ 100 მეტრი 12,60 წამში დაფარა და მხოლოდ 0,02 წამით აჯობა კალურს.

კაცთა 100 მეტრზე არ ურბენია იამაიკელ ასაფა პაუელს. მეფე ტრავმას შეუწუხებია, რაც ადრეც მოკრძალებით გაუწყეთ. ამდენად ის თავს ჯერ ძალას არ ატანს, ასაფას ტრავმიანობის პერიოდში გალაღებულმა დერეკ ეტკინსმა კი არცთუ გადასარევი 10,04-წამიანი შედეგით, მაგრამ მაინც იმარჯვა. ისე, რაც სარბენ ბილიკებს ასაფას ფეხი მოაკლდა, ეს ეტკინსი გაყოჩდა. მან უკვე ზედიზედ მეოთხე ტურნირი მოიგო. ახლა ამბობს — იქნებ როგორმე 10 წამსაც ჩავცდეო. ჰაი გიდი! რა ცუდ დროს დაიმტვრა მეფე, თორემ ყველას აჩვენებდა, როგორ უნდა სირბილი. ლოზანაში კი ეტკინსს ზურგში მიჰყვნენ ჩარანდი მარტინი (10,10) და შონ კროუფორდი (10,13). ეს უკანასკნელი ადრე 200 მეტრზე დარბოდა და ამ დისტანციაზე ათენის ოლიმპიადა აქვს მოგებული, მაგრამ ბოლო დროს წამოზრდილმა ტაისონ გაიმ და სხვა ფეხმალმა მორბენლებმა ისე შეავიწროვეს, რომ კროუფორდმა დისციპლინა შეიცვალა და 100 მეტრში „ჩამოქვეითდა“.

ქალთა 100 მეტრზე კი ამერიკელმა ტორი ედვარდსმა (11,00) აჯობა იამაიკელ ვერონიკა კემპბელს (11,07), კიდევ ერთი ამერიკელი, დარბაზებში მსოფლიოს ჩემპიონი მელისა ბარბერი (11,11) მესამე გახლდათ.

**ბოტე ყორშია**

# ინზიკურუმ უგანდას უგანა

**დიდი შანსია,** ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე უგანდა უმედლოდ დარჩეს. აფრიკის ასეთი პატარა ქვეყნები მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებას ჰა-ჰა, მძლეოსნობით თუ აცნობენ თავს და აქაც იმდენად დიდია კონკურენცია (კენიელებმა და ეთიოპიელებმა ლამის ყველა გრძელ დისტანციაზე მოიპოვეს მონოპოლია), რომ უგანდა, რუანდა, ბერუნდი და მსგავსი ქვეყნები ცალკეული იღბლიანი ვარსკვლავების იმედად რჩებიან.

უგანდას მოეძევება ერთი ასეთი ვარსკვლავი — 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა სტიპლჩეიზის (3 კმ წინაღობებით) მომგები დორკუს ინზიკურუ და როგორც ახლა ირკვევა, ოსაკაში ისიც არ ეყოლება. ინზიკურუ იმ ტრავმამ იმსხვერპლა, რომელიც მუდამ თან სდევდა და ეს 25 წლის უნიჭიერესი მორბენალი ლამის ვეტერანად აქცია.

„ძალიან მინდოდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე სირბილი და ოქროს შენარჩუნება, მაგრამ ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ამჟამად თავს რიგიანად ვერ ვგრძნობ და ექიმის თქმით, დაახლოებით ოთხი თვე დამჭირდება ფორმაში შესასვლელად. იმედი მაქვს, მომავალი სეზონისთვის და განსაკუთრებით ოლიმპიადისთვის, არაფერი შემაწუხებს, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ოსაკას ხელი უნდა დავუქნიო“ — გულდაწყვეტით ამბობს ინზიკურუ.

მის ხელისმომკიდეებს კი კიდევ შერჩენიათ იმედი. ინზიკურუს იტალიელი ექიმი ამბობს, შარშანაც ასეთ დღეში იყო და ძლივს წავიდა კეთილი ნების თამაშებზე, მაგრამ ყველასთვის გასაოცრად, იქიდან გამარჯვებული დაბრუნდაო.

ინზიკურუმ ბოლოს ამ გაზაფხულზე კენიურ მომბასაში გამართულ კროსის მსოფლიოს ჩემპიონატზე ირბინა, მაგრამ ფინიშს ვეღარ უწია, თავი ცუდად იგრძნო და შუა გზიდან გადაუხვია.




# მოგუსიემ საათი არ ინდომა

**იაპონურ საპოროში** გამართულ ნახევარმარათონში გვარიანი შედეგი აჩვენა კენიელმა სტაიერმა მეკუბო მოგუსიემ. მარათონისთვის არცთუ სასურველი თბილი ამინდის მიუხედავად, სირბილი გვარიანად სწრაფი გამოვიდა და კენიელმა 21 კილომეტრი საათზე ნაკლებ დროში დაფარა. სულ მას 59 წუთი და 54 წამი მოანდომა და თითქმის შესწვდა იაპონიაში ნაჩვენებ ყველა დროის საუკეთესო შედეგს — 59 წუთსა და 43 წამს, რომელიც 2002 წელს აჩვენა სამუელ ვანჯირუმ.

ქალებში 1:08.22 შედეგით იმარჯვა ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა მიზუკი ნოგუჩიმ, რომელმაც აჯობა არაიაპონელ კონკურენტებს — ბრიტანელს, მარა იამაუჩის, კენიელ ეველინ კიმკეის და კიდევ რამდენიმე ყოჩაღ თანამემამულეს.



მიზუკი ნოგუჩიმ (№69) მშობლიურ გზებზე ყველას აჯობა

**ბოტე ყორშია**

# ამაზე დიდი, ამაზე ძვირი
## იახტებმა აფრები და ფრთები გაშალეს



**სულ** რაღაც ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ვალენსიას აკვატორიაში შვეიცარიულმა „ალინგიმ“ ახალზელანდიური „თიმ ნიუ ზილენდი“ დაამარცხა და სანაოსნო სპორტში უპრესტიჟულესი ჯილდო, ამერიკის თასი შეინარჩუნა. წესით, მომქანცველი ნაოსნობის შემდეგ ახლა ყველას უნდა დაესვენა, მაგრამ ვნებები და ემოციები კვლავაც დუღს და ხალხი ისეთი გზნებით ლაპარაკობს თასის მომავალ გათამაშებაზე, თითქოს ის ოთხი წლის შემდეგ კი არა, ხვალ უნდა გაიმართოს.

„ალინგის“ კაპიტანმა ბრედ ბატერვორტმა იახტის მილიონერ მფლობელ ერნესტო ბერტარელისგან უკვე მიიღო ახალი ეკიპაჟის დაკომპლექტების დირექტორვა. მოდგმით ახალზელანდიელი ბატერვორტი ამბობს, რომ ის სავსებით კმაყოფილია ამ გუნდით და თუ საშუალება მიეცემა, ამავე ეკიპაჟით სიამოვნებით დაიცავს თასს ოთხი წლის შემდეგ. ერთადერთი კაცი, ვის დამატებასაც ის ისურვებდა, რასელ ქოუთსია, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ცალკე აბზაცს.

რასელ ქოუთსი ამერიკის თასის გათამაშების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული შკიპერი, ანუ კაპიტანია. თავის დროზე, 1995 წელს ამ ახალზელანდიელმა ზღვის მგელმა მშობლიური ნავით და ეკიპაჟით გაცილებით დიდბიუჯეტიანი და ლობირებული ამერიკული იახტა დაამარცხა და ასე შეცურდა დიდ ნაოსნობაში. 5 წლის შემდეგ მან წარმატებით დაიცვა თასი, მაგრამ ბედმა (და შვეიცარიულმა ფულმა) შემდეგ ის ახალშექმნილ შვეიცარიულ იახტა „ალინოოზე“ გადაისროლა. ქოუთსმა 2003 წელს „ალინგის“ თავისი ყოფილი ნავი „თიმ ნიუ ზილენდი“ 5:0 დაამარცხებინა მშობლიური ოკლენდის წყლებში და ევროპულ ნავს პირველად ჩაახუტა ეს თასი მისი გათამაშების საუკუნენახევრიან ისტორიაში, შემდეგ კი ვალმოხდილმა დატოვა გუნდი და ბერტარელის სიტყვა მისცა — თუკი „ალინგი“ მომავალშიც გაიწევს დიდი გამარჯვებისაკენ, მე მისი მოწინააღმდეგე ნავის ბანაკში არ ვიქნებიო. არადა, არ არსებობს დღეს მსოფლიო ოკეანეში ისეთი იახტა, რომელსაც ქოუთსის ხილვა არ სურდეს. თავის გემბანზე და დიდის გულმოდგინებით არ ეპატიჟებოდეს მას.

ოდესღაც ქოუთსის თანაშემწე, მისი წასვლის შემდეგ კი „ალინგის“ კაპიტნობამდე აღზევებული 48 წლის ბრედ ბატერვორტი ამბობს, რომ გუნდს ნებისმიერ ამპლუაში ძალიან წაადგება ქოუთსის ფეხა და გამოცდილება — თუნდაც ნაპირზე დარჩეს და შეჯიბრების წინ მოგვცეს რჩევებიო. ბატერვორტი რიგიანი შკიპერი კი გამოდგა, მაგრამ მთლად მასწავლებლის დარი ვერაა. ეს ამ დღეებშიც გამოჩნდა, როცა „ალინგი“ „თიმ ნიუ ზილენდს“ ეჯიბრებოდა და ამ უკანასკნელს თავისი პრობლემები რომ არ შექმნოდა, იქნებ ეჯობნა კიდეც.

მოკლედ, ბატერვორტი მასწავლებელს თავის გვერდით ნატრობს. რომელ ნავს მიემხრობა ქოუთსი და საერთოდ, დაბრუნდება თუ არა აქტიურ ნაოსნობაში, ეს ჯერ თავად მანაც არ იცის. ის კი ცხადია, რომ რამდენიმე წლის წინ მასთან და ბატერვორტთან ერთად, „თიმ ნიუ ზილენდიდან“ „ალინგიში“ გადაბარგებული გამოცდილილი ახალზელანდიელი მეზღვაურები (სულ ოთხნი არიან) უკლებლივ დარჩებიან შვეიცარიულ გუნდში, რაკი უკეთეს პირობებს მათ უბრალოდ ვერავინ შესთავაზებს.

ამასობაში კი ახალზელანდიელებიც ფუსფუსებენ. მარცხის მიუხედავად, მათ ხელმძღვანელებსაც არ აქვთ ეკიპაჟთან პრეტენზია და 10 მილიონი ახალზელანდიური დოლარი (3,8 მილიონი ამერიკული დოლარი) გამოყვეს მარტო მეზღვაურების ხელფასზე. თავისთავად ცხადია, ეს მილიონები იმ თანხის მეათედიც არა, რასაც სპონსორები გაიღებენ ახალი სუპერიახტის ასაგებლად და ხმელეთზე მხარდამჭერი გუნდის და ბაზის შესანახად. ხედავთ, როგორი ძვირი სპორტია აფროსნობა? მით უმეტეს, ამერიკის თასის მსურველი გუნდის შენახვაა ძალიან ფულგასავლიანი საქმე.



მომავალი თასის გათამაშებისთვის, 2011 წლისთვის არა მხოლოდ „თიმ ნიუ ზილენდს“ მოუწევს ახალი იახტის აგება. ყველამ უნდა იზრუნოს ახალ ნავზე, რაკილა ამერიკის თასის ორგანიზატორებმა იახტის პარამეტრები შეცვალეს — უფრო გაადიდეს ნავი. კორპუსის სიგრძე ახლანდელი 80 ფუტის (24 მეტრი) ნაცვლად 90 ფუტი (27,4 მეტრი) იქნება, ეს კი იმ მარტივ ჭეშმარიტებას ნიშნავს, რომ გადიდება ყველაფერი — ანძა ამაღლდება, გაიზრდება როგორც აფრების ფართობი და მოცულობა, ისევ ნავის წყალწყვა. ზომასთან ერთად ალბათ ფორმასაც შეიცვლიან წყალქვეშა ფრთები, რომლებიც 10 სართულის სიმაღლეზე აფრებაწვდილ ამ ურთულეს სანაოსნო კონსტრუქციას გადაბრუნების ნებას არ აძლევენ.

სანაოსნო ანბანში ვინც ერკვევა, მას ერთი რამ ეცოდინებავა: რაც უფრო დიდია ნავი, გემი, თუ კრეისერი, მით უფრო ძნელია მისი მართვა და ეს ტექნიკური ცვლილებები ეკიპაჟის ზრდაშიც პირდაპირპროპორციულად აისახება — ნაცვლად დღევანდელი 17-ისა, მომავლის იახტებს 21-კაციანი გუნდი მართავს.

„ახალი კლასის იახტების შეჯიბრი მაყურებლისთვის უფრო სასეირო იქნება, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო სიჩქარის ქარში — ამბობს ესპანური ნავის „დესაფიო ესპანიოლის“ შკიპერი აგუსტინ ზულუეტა, რომელიც როგორც უშუალო მასპინძელი იახტის წარმომადგენელი და „ალინგის“ წევრებთან ერთად წლეულს ვალენსიის წყლებში გამართული შეჯიბრის საორგანიზაციო წრეებში ტრიალებდა.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამერიკის თასი 2011 წელსაც ვალენსიის აკვატორიაში გათამაშდება. შეჯიბრის ადგილს ხომ ჩემპიონი ირჩევს, „ალინგის“ ფორმალურ სამშობლოში, შვეიცარიაში კი, მოგეხსენებათ, ზღვა და ოკეანე არაა.

**კოტე ყოჩმია**



# ახლა მოგების დროა



# დიდი სეირის ტურში კოკაიმაც უნდა იხეიროს

**ექსკომუსუბი** კოკაიმ აიტურ ბაშოზე პირველის მსგავსად მეორე მოგებასაც უმალ წაგება მოაყოლა და ერთპიროვნული ლიდერების მდევართა ჯგუფსაც ჩამორჩა. „შავი ზღვა“ გუშინ რიგით მაეგაშირა კაკურიუს მძლავრად კი მიაწვა, მაგრამ ტექნიკური და შეუპოვარი 21 წლის დევბიჭის დაცვის გარღვევა ვერაფრით ვერ შეძლო. კაკურიუმ შეტევა ხომ მოიგერია, იქვე კონტრილეთიც გააკეთა და გამარჯვებაც მას დარჩა. მეხუთე ტურში ლევან ცაგურია მორიგი მაეგაშირას, ტოკიცუმის პირისპირ დადგება.

წაუგებელი კი ოთხი ტურის შემდეგ ორი სეკიტორილაა. ოცდამეერთე საუკუნის მეორე იოკოძუნა ხაკუხომ სუფთა სვლა გუშინ ალმოსავლეთის მესამე მაეგაშირასთან, ტაკეკაძესთან ათწამიანი ბრძოლით გააგრძელა, ხოლო ოძეკობაზე მეოცნებე 31 წლის კოტომიცუკიმ კიდევ უფრო იოლად მოისროლა დოხიოდან კომუსუბი ამინისიკი.

გუშინდელ შეხვედრამდე ხაკუხო-კოტომიცუკის მხარდამხარ ექსკომუსუბი როხო და 35 წლის მაეგაშირა კიტაძაკურაც წაუგებლად მიდიოდნენ, მაგრამ... როხო ტრავმის გამო არათუ იოკოძუნა ასასიორუს არ დაეჭიდა, საერთოდ ტურნირიდან მოიხსნა, ხოლო კიტაძაკურას იმპერატორის თასზე ოცნება ექსსეკივაკე ტოჩინონადამ ჩაუშწარა.

ოთხქულიან დუეტს ზურგს უკან ყველაზე ახლოს ასასიორუ, კიტაძაკურა და ორი ოძეკი — კაიო და კოტოოსიუ უდგანან სამ-სამი ქულით.

დღეს აიტის ბაშოზე ორი თვალსასეირო ბრძოლა შედგება. უმაღლეს დივიზიონ მაკუტის ყველაზე მაღალი სუმოტორი, 203-სანტიმეტრიანი კოტოოსიუ ყველაზე დაბალს, 168-სანტიმეტრიან ტოინოსიმას დაეჭიდება. უმძიმესი დევკაცი, 170-კილოგრამიანი კაიო კი უმსუბუქესს, 125-კილოგრამიან სეკივაკე ამას. ცნობისთვის, ამ წყვილის ბოლო შეხვედრა მაისის ბაშოზე მსუბუქი ამას გამარჯვებით დასრულდა.

ხაკუხო „წითელ დრაკონ“ ასასეკირიუსთან ეცდება პირველკაცობის შენარჩუნებას, კოტომიცუკი ტოკიტენკუსთან იჭიდავებს. იოკოძუნა ასასიორუ კი ხაკუხოს გუშინდელ ლუკმას, ტაკეკაძეს დაეძგერება.

**ოთარ ზაღლაძელიძე**

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



# წმინდა ფრანგული
## ალექსანდრ დიუმას მიწაზე ბორბლებით და არა მუშკეტებით

**ვინ მოთვლის**, რამდენი ომი გადაუხდია საფრანგეთს ინგლისთან და ბელგიასთან. მაგრამ ზარბაზნებს და მუშკეტებს ადრე აქუხებდნენ, ახლა კი ეს ქვეყნები დიდ პატივად თვლიან, თუ ტურ დე ფრანსი, მსოფლიოში უპრესტიჟულესი ველოტური მათთანაც შეივლის.

რამდენიმე დღე ინგლისში და ვალონიაში ხეტიალის შემდეგ დიდმა ველოქარავანმა სამშაბათს ბელგია-საფრანგეთის საზღვარი გადაკვეთა, ოთხშაბათს კი არცთუ შემხვევით პირველმა წმინდად ფრანგულმა ეტაპმა სტარტი აიღო ფრანგთა მეხოტბის და სიამაყის ალექსანდრ დიუმას მშობელი ქალაქიდან, ვილერ-კოტრედან, შემდეგ გაიარა 193 კილომეტრი და ჟიონიში დაახლოებით ოთხნახევარი საათის შემდეგ მიგორდა.

პელეტონს პირველი ლტოლვილი დაახლოებით 30 კილომეტრის გავლის შემდეგ გამოუჩნდა, როდესაც „ბუგეს ტელეკომის“ მრბოლმა მეტიუ სპრიკმა დედის წინ მორბენალი კვიცის არ იყოს დედა-ჯგუფს მოწყვეტა მოინდომა და მაისურზე წაწერილი რეკლამების დემონსტრირებისთვის წინ გაიჭრა. სპრიკს ოთხიოდ მრბოლი მიჰყვა, რომელთა შორის გახლდათ მეტნაკლებად ცნობილი მრბოლი, რეკლამების დემონსტრირებაზე უფრო მნიშვნელოვანი გეგმების მქონე სილვიან შავანელი. ეს ეტაპი ბარისა იყო, გზაზე არ „იდო“ დიდი მთები, რომ მრბოლები საერთო ჩათვლაში პირველობის მოსაპოვებლად გარჯილიყვნენ, მაგრამ მათ შემოხვდათ რამდენიმე მომცრო გორაკი, რომელიც საუკეთესო მთიელისთვის მებრძოლებს გარკვეულ ქულებს აძლევს და ამ გორაკების წვერზე პირველად მისაღწევად ეჯიბრებოდნენ წინ გაჭრილები ერთმანეთს. შავანელმა ყველაზე მეტი ქულა მოიპოვა და „მთის მეფისთვის“ გამზადებული წითლად დაკოპლილი მაისურაც მოირგო. მაგრამ რაკი ეტაპი მთლიანობაში მაინც უმთო იყო, პელეტონმა წინ მორბენალი კვიცები ეტაპის ბოლო კილომეტრებზე ჩაყლაპა.

მოხდა მცირე ინციდენტიც: „კოფიდისში“ შავანელის თანაგუნდელი სტაფ შერლინხი ერთ მოსახვევში გზიდან გადავიდა და გვერდზე მდგომ მანქანას შეეჯახა. ბედად არცთუ ძლიერად — თავადაც გადარჩა, რბოლაც გააგრძელა და არც მანქანა დაუჭეჭყია დიდად.

ფინიში კი როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო მეტრებზე სპრინტით დასრულდა. „კრედიტ აგრიკოლის 29 წლის ნორვეგიელმა მძიმეწონოსანმა მრბოლმა ტორ ჰუსჰოვდმა თანაგუნდელი ჟულიენ დანი აიფარა, მერე ზედ ბოლო მეტრებზე მძლავრი ბიძგით ჩამოიტოვა რობერტ ჰანტერი, რობერტ ფრეირი და ერიკ ცაბელი და ყოველგვარი ფოტოფინიშის გარეშე, შეუიარაღებელი თვალითაც მკაფიოდ გასარჩევი უპირატესობით იმარჯვა.

ნამდვილი მთები წინაა და ამდენად საერთო ჩათვლაში ვინმეს ლიდერობაზე ბევრის თქმა ნაადრევია, მხოლოდ შევახსენებთ, რომ ლიდერის ყვითელი მაისურა კვლავაც ფაბიენ კანცელარას მოსავს, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია გოლიათ ჰუსჰოვდთან გაჯიბრება, იგი წყნარად იჯდა პელეტონის შუაგულში და 47-ემ გადაკვეთა ფინიში.

**კოტე ყორშია**



ტორ ჰუსჰოვდის ფინიში

| მე-4 ეტაპი. ვილერ-კოტრე — ჟიონი. 193 კმ | |
|---|---|
| 1. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი“) | 4 სთ 37 წთ 47 წმ |
| 2. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, „ბარლოვოლდი“) | |
| 3. ოსკარ ფრეირი (ესპანეთი, „რაბობანკი“) | |
| 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“) | |
| 5. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე“) | ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ფაბიან კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 19 სთ 49 წთ 55 წმ |
| 2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი“) | +29 წმ |
| 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) | +33 წმ |
| 4. დავიდ მილარი (ბრიტანეთი, „სონი დიუვალი“) | +41 წმ |
| 5. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „დისქავერი“) | +43 წმ |

## შენაჰანი დარჩა. ლუნდკვისტი?

**ივლისის** დასაწყისში „ნიუ იორკ რეინჯერსმა“ სერიოზული შევსება მიიღო სკოტ გომესისა და კრის დრურის სახით, რის შემდეგაც „ჩაფრები“ თავისთავად ჩაწერეს სტენლის თასის ფავორიტთა შორის. გუნდმა გუშინ კიდევ ერთი სერიოზული შევსება მიიღო ვეტერანი ბრენდან შენაჰანის სახით, რომელიც კარგა ხანია, აცხადებდა, რომ ნიუ იორკში დარჩენა სურდა. ერთი ეგაა, „რეინჯერსის“ გენერალურმა მენეჯერმა გლენ სატერმა შენაჰანს საკმაოდ დიდი კონტრაქტი გაუფორმა — თავდასხმელი 2,5 მილიონით შეივსებს ჯიბეს და თითქმის ამდენივეს დამატებით მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ გუნდი თასს მოიგებს.

სატერის ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის გასაკვირი გამოდგა, რადგან გუნდს ახლა ძალიან გაუჭირდება ძირითად მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტის დატოვება — ნჰლ-ში ხომ საგადასახადო ჭერი არსებობს და შანსია, „ჩაფრები“ არსებული ლიმიტში ვერ ჩაეტივნენ.

ასე რომ, სატერს ახალი თავსატეხი გამოუჩნდა — მან ლუნდკვისტთან მალე უნდა გამონახოს საერთო ენა, თორემ შვედი კიპერი უქმად ნამდვილად არ დარჩება. მის სამსახურზე ნჰლ-ის ბარე 10-12 გუნდი არ იტყვის უარს.

## დეტროიტმა ძველი კადრი დაიბრუნა

**უჩვეულოდ** პასიურია ამ ზაფხულს „დეტროიტ რედ უინგსი“. გუნდმა მხოლოდ მცველი ბრაიან რაფალსკი დაიმატა და ისიც იმიტომ, რომ გუნდიდან ამავე ამპლუის მეტიუ შნაიდერი წავიდა. აი, ტოდ ბერტუცის ჩანაცვლებას „წითელფრთიანები“ არ ჩქარობენ.

მიჩიგანელებმა კი დაიმატეს 38 წლის ვეტერანი დალას დრეიკი (ერთწლიანი კონტრაქტი, 550 ათასი), რომელიც თავის ძველ გუნდში ბრუნდება — დრეიკი სწორედ „დეტროიტმა“ აიყვანა დრაფტზე, მაგრამ აქ მხოლოდ 3 წელი დარჩა, რის შემდეგაც თითქმის მთელი ლიგა შემოიარა და აგერ ისევ „წითელფრთაიანებში“ დაბრუნდა.

თუმც დრეიკი ბერტუცის შემცვლელად ვერ ჩაითვლება, რადგან ის ჩამშლელი უფროა. არადა, „დეტროიტს“ კიდევ შეუძლია 5-6 მილიონის დახარჯვა — თუმც ბევრი ვარაუდობს, რომ მიჩიგანელები ამ ზაფხულს მაინდამაინც არ იაქტიურებენ და შემდეგ გაზაფხულისთვის, პლეი ოფის წინ დაიმატებენ ვინმეს.

## სიდნი კროსბი ისევ პინგვინია

**„პიტსბურგის“** გულშემატკივრებს შეუძლიათ, მშვიდად ამოისუნთქონ — ყმაწვილკაცობაშივე გუნდის სიმბოლოდ ქცეული სიდნი კროსბი იქ კიდევ ხუთი წლით რჩება და ამ პერიოდში 43,5 მილიონს ჩაიჯიბავს. კროსბის მოქმედ კონტრაქტს ვადა მომავალ ზაფხულს გასდიოდა, მაგრამ „პინგვინებმა“ აქედანვე იზრუნეს მის დატოვებაზე. ასე რომ, კროსბი წელიწადში საშუალოდ თავის ნომრის ანალოგიურ თანხას, 8,7 მილიონს მიიღებს (სიდი 87 ნომრით თამაშობს).

უნდა ითქვას, რომ კროსბის თავისუფლად შეეძლო, ამაზე დიდი კონტრაქტი მოეთხოვა — მაშინ, როცა იგივე გომესმა თუ 7-მილიონიანს გამოჰკრა ხელი, „პატარა სიდს“ თავისუფლად შეეძლო 10 მილიონამდე დაეთრია. თუმც მან გუნდის ინტერესები უფრო მაღლა დააყენა და „პინგვინებს“ საშუალება მისცა, ფული დაეზოგათ სხვა ახალგაზრდა ვარსკვლავების — ევგენი მალკინისა და ჯორდან სტაალის დასატოვებლად.

„აქ ისეთი ბიჭები შეიკრიბნენ, რომლებთან ერთადაც ბევრი რამის მოგება შეიძლება. ამიტომ ისევ მათი გუნდში დარჩენა, მათ მხარდამხარ ზრდა და მომავალი გამარჯვებები ნამდვილად ღირს იმ მილიონნახევრად, რომელიც დავთმე“ — განაცხადა კროსბიმ.

**კახა ლომჯაშვილი**



სიდნი კროსბი

# ქართველების თანაბარი

## ვიქტორ სანიკიძემ და ნიკა ცქიტიშვილმა ლას ვეგასში ქულები ძმურად გაიყვეს



ნიკა ცქიტიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

**ლასვეგასური** საზაფხულო ლიგის მორიგ ტურში ორივე ქართველი დაკავდა. თანაც ისე მოხდა, რომ ორივემ თანაბარი შედეგიანობით ითამაშა.

ნიკა ცქიტიშვილის „დენვერ ნაგეტსი" „დალასს" შეხვდა და 83:87 დამარცხდა, ხოლო ვიქტორ სანიკიძის „სან ანტონიომ" „გოლდენ სტეიტს" აჯობა და ამ მატჩებში ქართველების მონაგარი ერთნაირი იყო — 6-6 ქულა და 5-5 მოხსნა.

გვარიანი დამთხვევაა, ვერაფერს იტყვი.- განსვავება მხოლოდ ისაა, რომ ცქიტიშვილმა სანიკიძეზე 4-ით მეტი, 17 წუთი ითამაშა. იყო სხვაობა ჩაჭრა-დაკარგვებსა და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან სტატისტიკურ მაჩვენებლებში, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის.

თუკი ეს შედეგი სანიკიძისთვის მისაღებია, ცქიტიშვილს ალბათ არ დააკმაყოფილებდა. ნიკამ ლიგის პირველ მატჩში 14 ქულა მოიხვეჭა და მომდევნოში უფრო მეტსაც გეგმავდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ის უწინდელივით დამწყებ ხუთეულში არ ყოფილა და მთლიანობაშიც 7 წუთით ნაკლები ათამაშეს.

სანიკიძისთვისაც ეს მატჩი მეორე იყო ლას ვეგასში. არადა, მისმა „სან ანტონიომ" უკვე 4 შეხვედრა მოიღია, თუმც ორში მწვრთნელს ვიქტორი მოედანზე არ გაუყვანია.

წინა შეხვედრაში „ვიკამ" 12 წუთში მხოლოდ 2 ქულა შეაკოწიწა. ახლა კი თითქმის იგივე დროში 6 ქულას მოუყარა თავი. თანაც ეს ისე მოახერხა, რომ სამივე ღირებულების სროლას გაუგო გემო — სამქულიანიც ჩააგდო, ორიანიც და საჯარიმოდანაც იჩუბინა. ამასთან სანიკიძემ თითო პასი და ჩაჭრაც გააზერხა, ბურთი კი მხოლოდ ერთხელ დაკარგა.

„სან ანტონიოს" ლას ვეგასში ერთი მატჩიღა დარჩა სათამაშო. ხვალ ის „მინესოტას" გაეჯიბრება, ხოლო „დენვერს" და მის ქართველ ფორვარდს მთელი სამი თამაში აქვთ წინ.

**ირაკლი პერტაია**

# დაწყებაც ასე უნდა

## ერთი ტაიმი საქართველო საუკეთესოზე უკეთესი იყო...

**ესპანეთი 96:68 საქართველო**

**21:24 25:14 21:7 29:23**

ესპანეთი: რიბასი (5), სანჩესი (6), ფერნანდესი (8), ტერუელი (12), რეი (21); ბეირანი (15), ლული (12), აბდრესი (5), ლუკასი (4), გამა (2), პერესი, სოლი

საქართველო: გაფრინდაშვილი (10), ფარლალავა, ჭოჭუა (9), ბერიშვილი (4), შერმადინი (12); მათიაშვილი (8), გულისაბედაშვილი (7), ჯგერენაია (6), ლაფანაშვილი (5), ცეკვავა (5)

**საქართველოს** ნაკრებმა ესპანეთთან ორი სრულიად განსხვავებული ტაიმი ითამაშა. დავით უსტიაშვილის გუნდი თავიდანვე განწირული კი იყო ბობოლა ესპანეთთან, მაგრამ თამაში რომ დაიწყო, ვერავინ იტყოდა, ქართველები რამით ჩამორჩებიან მეტოქესო. აი, მეორე კი ისეთი გამოდგა, მტერს არ უსურვებდი — პირინეელებმა ჩვენებს ხელი აღარ გაანძრევინეს და საბოლოოდ დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს.

ქართველთა თავკაცმა დავით უსტიაშვილმა მეორე ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე კი თქვა, დარჩენილ მატჩებს შესათამაშებლად და გამოცდილების დასაგროვებლად გამოვიყენებთო, მაგრამ მისმა შეგირდებმა ისე ესპანეთთან დაიწყეს თამაში, ჩვენიანთა დამრიგებელი ძალაუნებურად გამარჯვებაზე ჩაფიქრდებოდა.

არადა, როგორია, ევროჩემპიონატზე ჯერაც დაუმარცხებელ გუნდს ხვდები და მეხუთე წუთისთვის 10:4 ჯაბნი. ეს არ ყოფილა ისეთი ეპიზოდი, წინასწარ განწირული გუნდი რომ თავიდან გაიჭრება ხოლმე წინ და მერე თავად ამ მოულოდნელი ლიდერობის მსხვერპლი ხდება. ესპანელებმა კი მოუგეს ქართველებს მომდევნო რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი 10:0 და 4 ქულითაც გალიდერდნენ, მაგრამ მიხეილ ჭოჭუამ მიყოლებით გასტყორცნა 2 სამიანი და ჩვენიანებმა ლიდერობა უკუიპყრეს — 19:15. მეოთხედის ბოლოს სათადარიგოებმაც იყოჩაღეს და მოედანზე გამოსული გიორგი გულისაბედაშვილისა და ლევან ცეკვავას მეცადინეობით მეოთხედიც მოიგეს — 24:21

ალბათ ბევრს ეგონა, რომ ეს იყო ქართველების მაქსიმუმი, მაგრამ უსტიაშვილის გუნდს კიდევ 10 ქულა ჰქონდა საიმისოდ, რომ თავი ევროსაკალათბურთო ელიტის ღირსეულ ბინადრად ეგრძნო.

ესპანელება შესვენების შემდეგ მთელი ძალით შეუტიეს ქართველებს, მაგრამ ტაიმის ბოლომდე არათუ ვერაფერი დააკლეს, ძირითადად მდევრის როლშიც იყვნენ.




სანამ ესპანელთა მთავარი იმედი ხავიერ რეი ფრთებს გაშლიდა, ჩვენიანები საკმაოდ დაბალანსებული თამაშით ჯაბნიდნენ მის გუნდს. ძალიან ძნელია, რომელიმე ჩვენიანი გამოარჩიო ამ ტოლძალოვანი ბრძოლისას. ყველა საქმეში იყო და ერთ პერიოდში ქართველები სათადარიგოებით უძალიანდებოდნენ მრისხანე მეტოქე.

პირველი ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე საქართველო 36:35 იგებდა და ეს იყო ჩვენიანთა ბოლო ლიდერობა ამ მატჩში. ალბერტ ტერელმა ესპანელები რომ დააწინაურა, აქედან დაიწყო მათი ფიესტა.

ტაიმის ბოლომდე ხავიერ ბეირანმა პირინეელთა უპირატესობა რვამდე გაზადრა და შესვენების შემდეგ უკვე ვუნდერკინდი ხავიერ რეის ჯერიც დადგა.

მორჩა, გათავდა, საქართველოს ნაკრები მეორე ტაიმში გუნდს აღარ გავდა. ესპანელებმა ერთანად აგვიკლეს, რეის დიდოსტატური თამაშის წყალობით მესამე მეოთხედი 21:7 მოგვიგეს და ქართველები მიწაზე დაუშვეს.

დღეს საქართველო ხორვატიას ეთამაშება და მეორე ჯგუფურ ეტაპსაც დაასრულებს.

**ირაკლი პერტაია**

**ბულგარეთი 88:70 ხორვატია**

**იტალია 66:62 ისრაელი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 8 |
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 8 |
| ისრაელი | 4 | 2 | 0 | 2 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 3 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 3 | 5 |
| ხორვატია | 4 | 0 | 4 | 4 |

გასული თვის ბოლოს დრაფტის პირველ რაუნდში არჩეული მოთამაშეების უმრავლესობას თავი ქუდში აქვს: მათმა ამყვანმა კლუბებმა კალათ[illegible] მოიმარჯვეს და ნიჭიერ ახალგაზრდებს კონტრაქტები გაუფორმეს. ჩვენც მივყვეთ და მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული კონტრაქტის პირობები.

## ნიუ ჯერსი



„ნიუ ჯერსის" გასულ დრაფტზე მე-17 არჩევნის უფლება ჰქონდა, რომელიც შონ უილიამსს დაახარჯა და ვინ მოთვლის ამ გვარის უკვე მერამდენე კაცი შეემატა ნბა-ს. დერონ, მარვინ, მო, შემონდ, შელდენ... ამ არასრულ სიას შონიც შეურთდა, რომელსაც ამ დღეებში „ნეთსმა" ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. ამ ხნის განმავლობაში უილიამსი 2,45 მილიონ დოლარს აიღებს და თუ გაამართლა, მისი გაშვება-არგაშვების უფლებას კლუბი თავისთვის იტოვებს.

## ატლანტა



ზაზა ფაჩულიას გუნდს პირველ რაუნდში ორი მოთამაშე ერგო. „ქორებმა" მესამე ნომრად თითქმის ფაჩულიას ზომა-წონის ალ ჰორფორდი აიყვანეს, ხოლო მეთერთმეტე არჩევანი გამთამაშებელ ელის ლოუს დაახარჯეს. ატლანტელებმა ორივე ახალბედას ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, კიდევ ორი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით, რისი უფლებაც თავად გუნდს ექნება.

ჰორფორდი პირველ პროფესიონალურ სეზონში 3,12 მილიონს აიღებს, მეორეში — 3,35-ს. ლოუს კონტრაქტი სადებიუტო სეზონში 1,6 მილიონად ფასობს, ხოლო მეორეში — 1,7-ად.

## დეტროიტი



დეტროიტელებს ამ დრაფტზე მსუყე საკბილო არ ერგოთ, მაგრამ ვინც წილად ხვდათ, მათთვის კონტრაქტი არ დაუმადლებიათ. დრაფტის მე-15 ნომერ როდნი სტაკს და 27-ე ერონომ აფალოს „დგუშებმა" ორ-ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს, თუმც ხელთასის ოდენობას არ ახმაურებენ.

## გოლდენ სტეიტი



ოკლენდურმა გუნდმა გასულ დრაფტზე მე-18 ნომრად იტალიელი მარკო ბელინელი აიყვანა, მაგრამ მას ჯერ ლასვეგასურ საზაფხულო ლიგაზე ცდის და გუნდში აყვანას არ ჩქარობს. სამაგიეროდ, გოლდენსტეიტელებმა უკვე გაუფორმეს კონტრაქტი ბრენდონ რაიტს, რომელიც დრაფტზე მე-8 ნომრად „შარლოტ ბობქეტსმა" აიყვანა და გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ ოკლენდში გაუშვა.

## ჰიუსტონი



„როკეტსმა" ფინანსური დეტალების გაუხმაურებლად გაუფორმა კონტრაქტი აარონ ბრუკსს, რომელიც 28 ივნისის დრაფტზე 26-ე ნომრად აიყვანა. ბრუკსი უკანახაზელია და ტეხასურ კლუბში ორეგონის უნივერსიტეტიდან მოხვდა, სადაც გუნდის ლიდერი იყო.

## ფინიქსი



საჩემპიონო გუნდიც არ ამბობს უარს ახალგაზრდებით გაძლიერებაზე. ალანდო ტაკერმა ამ სეზონში „ფიქინსს" შეიძლება, ბევრიც ვერაფერი შემატოს, მაგრამ პერსპექტიული ყმაწვილკაცია და არიზონელებიც წინ იხედებიან. „მზეებმა" არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ტაკერი დრაფტის პირველი რაუნდის ბოლოსკენ აიყვანეს — ადგნენ და მას ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს. კონტრაქტის ღირებულება არ ხმაურდება, თუმც ნბა-ს კანონებით, ტაკერს პირველ სეზონში შეუძლია მაქსიმუმ 776 ათასი ჩაიჯიბოს, ხოლო მეორეში — 834 ათასი.

**ირაკლი პერტაია**



AFP

# ავღანი მოკრივენი

ეს ავღანელი გოგონები კრივში ვარჯიშობენ: თანაც, დიდი მონდომებით. ავღანელებს მიზნად ჰქონიათ, რომ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე გამოვიდნენ, ხოლო გოგონები იმედოვნებენ, რომ ოლიმპიურ გუნდში მოხვდებიან.

# ცხენების ფესტივალზე

აახენში მსოფლიოს საცხენოსნო ფესტივალი გახურებულა. ყოველივე, რაც ცხენთანაა დაკავშირებული, იქ ხდება. ეს გერმანელი კრისტიან ალმანია, რომელიც თავის „კუსტერზე" ამხედრებული მესამე შექნილა დაბრკოლებების გადალახვაში.



AFP



AFP

# ფორლანი ბადეში

დიეგო ფორლანმა კარგად ითამაშა „კოპა ამერიკაზე". ბოლო თამაშში ბრაზილიას გოლიც კი შეუგდო, მაგრამ ურუგვაის ნაკრები მაინც გამოეთხოვა შეჯიბრს. თუმცა, ფორლანს ბავშვები მაინც ესეოდნენ და მასაც ავტოგრაფები არ დაუნანია. ხოლო ჩოგანი საიდან გამოტყვრა, ვერ ვიტყვით.

# მსოფლიო ჩემპიონატი

შუა ფინეთში, სონკაიარვიში მსოფლიოს ჩემპიონატი გამართულა ცოლმოკიდებულ სირბილში. ანუ, ცოლი თუ გყავს, მოიკიდე და გაიქეცი. ეს ჩაუქი ქმარი ესტონელი მიდის უსორგია, ცოლს კი ინგა ჰქვია.



AFP

# შიდსიანთა დასახმარებლად

შანხაიში ენბიეის ექვსი კალათბურთელი ჩასულა და იქ შიდსის ვირუსთან ბავშვთა დახმარების პროგრამა გაუჩაღებია. მათ შორის, ცხადია, იაო მინიცაა. ამ ენბიეიურ პროექტს ნიჭიერთა გამოვლენაც ჰქონია მიზნად და მოახლოებული ხეიბართა ოლიმპიადის პრომოუშენიც.



AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, კაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ჰერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge